ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

25 აპრილიდან „ახალი თაობა“ + მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 2 ჩეხური ზღაპრები 6 ლარი





სამშაბათი, 23 აპრილი, 2013

№95 (6096)

ფასი: 30 თეთრი


# კობა დავითაშვილი დავით სერგიენკოს წინააღმდეგ



## ივანიშვილი მინისტრის გაკრიტიკების გამო დავითაშვილს ეჩხუბა

გვ.3



## რატომ არ დააპატიმრეს, ბაჩო ახალაიას გარდა, სხვა მაღალჩინოსნები?!

გვ.2



## ჟონდი ბაღათურია: „ახალი ხელისუფლება ნაცმოძრაობის ბიზნესების გადარჩენაზეც ზრუნავს“

გვ.6





## მინისტრებიდან ყველაზე მაღალი რეიტინგი თეა წულუკიანს აქვს

გვ.5

## წითელას შეიძლება წითურას ეპიდაფეთქება მოჰყვეს

გვ.4





## არჩილ კბილაშვილი დათა ახალაიას დაჭერას აღარ აპირებს

გვ.3

## დავით ზალკალიანი: „ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი ემთხვევა ქართველი ხალხის არჩევანს“

გვ.5



## შსს-მ პროსტიტუციის ხელშეწყობისთვის სასტუმროების მფლობელები დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით, ბათუმში, სასტუმრო „სთარი“-ს მფლობელები, 1984 წელს დაბადებული გელა ტ. და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული რამაზან ი, ასევე სასტუმრო „გენაცვალე“-ს მფლობელი, 1965 წელს დაბადებული თამაზ ა. დააკავეს.

როგორც შსს-ს პრესსამსახურიდან „ნიუსპრესს“ აცნობეს, ერთ-ერთი სასტუმროდან ამოღებულია ასევე ნარკოტიკული საშუალებები – „მარიხუანა“ და „ექსტაზი“. დაკავებულები ამ დროისთვის ბათუმის დროებითი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილი. ისინი დანაშაულს აღიარებენ. შსს-ს ინფორმაციითვე, სასტუმროებში მომუშავე ქალბატონები მოწმის სტატუსით დაიკითხნენ. გამოძიება სსკ-ს 254-ე მუხლით (პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გამოყოფა) მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

17 აპრილიდან! „ახალი თაობა“ + ლეონარდო და ვინჩი 8 ლარი




ISSN 1987-9385

**4** სკოლებს ფსიქოლოგები უბრუნდებიან

**6** კახა კუკავა ნაძალადევის რაიონში ყველა მის კონკურენტ კანდიდატს დებატებში იწვევს

**4** ირაკლი ალასანია: „ვგინდა, რომ 26 მაისს საერთო სახალხო ზეიმის ფორმა ჰქონდეს“

**6** მარიამ საჯაია: „ნაცმოძრაობა რეიტინგის დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რატომ არ დააპატიმრეს, ბაჩო ახალაიას გარდა, სხვა მაღალჩინოსნები?!

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტ მამუკა არეშიძესთან

***— ბატონო მამუკა, ნაციონალური მოძრაობა აპირებს, რომ ეროვნულ ძალად გარდაიქმნას. ცოტა ცინიკური ხომ არ არის მათი მხრიდან მსგავსი ტიპის განცხადებები?***

— ვერანაირად ეროვნულ ძალად ვერ ჩამოყალიბდებიან, იმიტომ, რომ მთელი 9 წელი ისინი ამ ეროვნულობას ებრძოდნენ და დღეს ლაპარაკობენ იმ სიმბოლოებით, რასაც მთელი ეს პერიოდი ებრძოდნენ. ილია ჭავჭავაძეს ახსენებენ, წმინდა გიორგის და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ნებისმიერი რამ შეეძლოთ ეთქვათ, ოღონდ ეროვნული ძალა არა. ეს ცინიზმია ბუნებრივია და საზოგადოებამაც ასე აღიქვა ზუსტად.

***— 19 აპრილი — რა იყო ეს დღე?***

— მე ვთქვი თავიდანვე, რომ ეს იყო ვანო მერაბიშვილის ღონისძიება, რომელიც პრეზიდენტმა თავისი მისვლით გააფუჭა.

***— დიახ, სააკაშვილის მისვლას არ ელოდნენო და მან ვანოს გეგმები ჩაუშალაო...***

— პრინციპში მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მივიდოდა, იმიტომ, რომ როცა ბევრ ხალხს ხედავს, სააკაშვილისთვის ეს არის გარკვეული სიმბოლო, რომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა, სადაც ბევრი ხალხია, მანაც უნდა თქვას თავისი სიტყვა. სხვა მხრივ არაფრით გამორჩეული არ ყოფილა, გარდა იმისა, რომ აი, ეს ორი რამ მოხდა, ერთი ის, რომ ვანო მერაბიშვილის აქცია იყო და ბოლომდე არ გამოვიდა ეს ამბავი და მეორე იყო, რომ ეროვნულობის თაობაზე გამოაცხადეს, რაც ვერანაირად ვერ იქნება აღქმული ნორმალურად. ისინი შეეცადნენ, რომ არა ოდიოზური ფიგურები, არამედ ისეთი ფიგურები გამოეყვანათ წინა პლანზე, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად არის გამაღიზიანებელი.

***— ეცადნენ, რომ ამ აქციით გადაეფარათ ის წინა პერიოდი და ის დაპირისპირება, რაც ამ აქციას წინ უძღოდა. რამდენად გამოუვიდათ ეს?***

— როგორ გამოუვიდოდათ, როცა მერაბიშვილმა შუა ტექსტში მიატოვა პრეზიდენტი და წავიდა და ეს ნათლად გამოჩნდა, რომ ეს დაპირისპირება არ არის მონაჭორი და ეს დაპირისპირება მართლაც არსებობს. იმდენად მკვეთრად ჩანს ეს დაპირისპირება, რომ ზოგიერთ ექსპერტს ეჭვიც კი გაუჩნდა, სპექტაკლი ხომ არ არის ეს ყველაფერიო. მე ვფიქრობ, რომ დაპირისპირება არსებობს მაინც. ეს ლოგიკურიც არის, რადგან სტრუქტურაში, რომელშიც არსებობს რამდენიმე ლიდერი, აუცილებლად მოხდება დაპირისპირება, თუ ხელმძღვანელი არ დგას თავის დონეზე. დღეს სააკაშვილი ობიექტური მიზეზების გამო ის აღარ არის, თუნდაც რაც ერთი წლის წინ იყო.

***— ახლა ვანოს მოუნდა პირველკაცობა?***

— მე ვერაფერს გეტყვით ამის თაობაზე. არ ვიცი იქ ზუსტად როგორ განვითარდება მოვლენები. მთლიანად ქვეყნის პირველკაცობაზე ლაპარაკი რთულია, მაგრამ ის, რომ ნაციონალური მოძრაობის პირველკაცობა უნდა, არა ფორმალურად გენერალურ მდივნად ყოფნა, არამედ რეალურად ხელმძღვანელობა, ეს ფაქტია.



***— პრეზიდენტობის ამბიციაც აქვს ვანოს, ამ დღით საპრეზიდენტო კამპანია უნდა დაეწყოო...***

— იცით, როგორ არის, თვითონ სააკაშვილის ფაქტორი ხელს უშლის ნებისმიერ ფიგურას ნაციონალური მოძრაობიდან, რომ საპრეზიდენტო კამპანია დაიწყოს. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე ასეა. შემდგომში, თუ მიხეილ სააკაშვილმა თვითონ მოინდომა ვინმესთვის მხარდაჭერა, უკვე შესაძლებელია, რომ ვინმე ჩამოყალიბდეს საპრეზიდენტო ფიგურად. თუ მიხეილ სააკაშვილი ამ პროცესში არ ჩაერია, მაშინ გაჭირდება ძალიან ასეთი ფიგურის შერჩევა და მერე იმის გაპიარება.

***— ბატონო მამუკა, რაც შეეხება ახალაიებს, ვნახეთ, თუ როგორი კამპანია ატყდა აქციამდე რამდენიმე დღით ადრე. თქვენ რა დაინახეთ ამ ყველაფრიდან?***

— ის დავინახე ზუსტად, რომ ვიდრე იყო ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი ხელმძღვანელი ამ მოძრაობისა, მანამდე როგორღაც ერთმანეთს ეგუებოდნენ და როგორც კი შესუსტდა, მაშინვე დაუწყეს ერთმანეთს ბრძოლა. ძალიან საინტერესო პროცესი იყო, როცა დააპატიმრეს ბაჩო ახალაია, მაშინ რამდენიმე წევრი კინაღამ შეჰყვა საკანში. ეტყობა, მერე ბრძანება მიიღეს, რომ ნამეტანი არ მოსვლოდათ და საერთოდ მიატოვეს. როლანდ ახალაიას თქმისა არ იყოს, მართლაც თეა თუთბერიძის იმედად დატოვეს. ბუნებრივია, ამან გამოიწვია გაღიზიანება ახალაიების მომხრეებისა და ეს დაპირისპირებაც ამის შედეგი იყო.

***— ბატონო მამუკა, საზოგადოებაში გაღიზიანებას იწვევს ის განცხადებები, რომლებიც ზოგიერთი ექსპერტისგან და ხელისუფლების მხარდამჭერისგან წამოვიდა, რომ ძმები ახალაიები, სისტემის მსხვერპლი არიან... ახლა კბილაშვილისგან ვისმენთ, რომ შესაძლოა დათა ახალაია პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდესო... ეს რამდენად სწორი მიდგომებია?***

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის მიუღებელია ეს სისტემის მსხვერპლობის ამბავი, მაინც ვთვლი, რომ ეს ტაქტიკური სვლები იყო, როგორც ხუხაშვილის, ისე კბილაშვილის მხრიდან. ეს სვლები განსაზღვრული იყო კონკრეტულ შედეგზე.

***— რას გულისხმობთ ტაქტიკურ სვლებში?***

— მოდით, ამას ასეთი მხრიდან შევხედოთ, ის რომ ბაჩო ახალაიას გარდა, სხვა დაპატიმრებული არც ერთი არ არის მაღალჩინოსანი, რომელთა დანაშაულის ამბავი ჩვენ ვიცით, ხომ არ მოწმობს იმას, რომ ეს სპეციალურად გაკეთდა იმისთვის, რომ ასეთი დიდი დაპირისპირება გამოეწვიათ. საქმეები, რომლებიც მართლა არის პროკურატურაში დამთავრების პირას დ ამე ამის თაობაზე ვიცი, თუნდაც იგივე ლაფანყურის თემა, ჯერ არ არის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი. მე ვთვლი, რომ ეს ტაქტიკური სვლების ნაწილია, ალბათ, იმისთვის არის, რომ დარტყმა მოხდეს განსაზღვრულ დროს, როცა ეს იქნება საჭირო.

***— ჯერ ერთმანეთზე უნდა დაადებინონ კომპრომატები?***

— არ არის გამორიცხული, მე ამას ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ არსებობს მსოფლიო იურისპრუდენციის პრაქტიკაში და საერთოდ სახელმწიფო მართვის პრაქტიკაში. იმიტომ კი არა, რომ მე ვამართლებ, რასაკვირველია, ჩემთვის ეს ფორმა, რომ რეჟიმის მსხვერპლნი არიან, მიუღებელია. არაფერი მსხვერპლნი არ არიან ისინი, რომ არ ნდომოდათ, არ იქნებოდნენ, იმიტომ, რომ უამრავი ადამიანი ვიცი, რომლებიც სხვადასხვა დროს გაერიდნენ ამ რეჟიმს, ზუსტად იმიტომ, რომ არ გამხდარიყვნენ ე.წ. რეჟიმის მსხვერპლი.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს ტაქტიკური სვლა უფროა მათი მხრიდან?***

— დიახ, მე ვთვლი, რომ უფრო ტაქტიკური სვლაა. არ არის გია ხუხაშვილი ის კაცი, რომ ასეთი რაღაცები ეშლებოდეს. ამიტომ ვთვლი, რომ ტაქტიკური სვლაა. თუმცა გამაღიზიანებელია ნამდვილად.

***— რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოვისმინეთ შეფასებები, რომ უნდა გადარჩეს ეს მოძრაობა, უნდა იარსებოს, როგორც ოპოზიციამ... ხალხი კი რეჟიმის გასამართლებას ითხოვს. აი, აქ როგორ ვართ, ბატონო მამუკა?***

— საქმე ის არის, რომ საჭიროა ახლა ახალი ოპოზიციური ძალის გამოჩენა, ძალისა, რომელიც შეძლებს დაიკავოს ოპოზიციური ნიშა სერიოზულად. დღეს გამოდის, რომ პრინციპში ქართულ ოცნებას ნაციონალური მოძრაობის არსებობა აწყობს, ასე გამოდის. იმ თვალსაზრისით, რომ ნაციონალურ მოძრაობას იმდენი რამე აქვს დაშავებული, რომ შეუძლია მთელი წელი ილაპარაკოს ქართულმა ოცნებამ ამის თაობაზე. კონსტრუქციული ოპოზიცია კი დღეს საზოგადოებას სჭირდება. ქვეყანას ნამდვილად სჭირდება ის, რომ დღეს კომფორტულად არ იგრძნოს თავი მმართველმა ძალამ. ეს ჩვენ გვჭირდება, მე მაგალითად, როგორც ამ ძალის წარმომადგენელი, ვთვლი, რომ ასეთი ძალა უნდა არსებობდეს. ნაციონალურ მოძრაობას კი ბუნებრივია, თავისი უნდა მიეზღოს სამართლიანობის თვალსაზრისით. საერთოდ, ყველას უნდა მიეზღოს თავისი, ვინც კი რამე დააშავა. რეჟიმის მსხვერპლი და მსგავსი განცხადებები, ჩემთვის გასაგებია, რადგან ამ ეტაპზე ასეა საჭირო, ამისი წინააღმდეგი ვერ ვიქნები, თუმცა ის, რაც მესმის, გულით არ მინდა, მივიღო. ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც ამ რეჟიმის მსხვერპლია და ბევრი ადამიანია, ვინც ამ რეჟიმს გაერიდა. ვინც დარჩა, ბუნებრივია, იმან პასუხი უნდა აგოს. შეიძლება დღეს და ხვალ არა, მაგრამ ზეგ აუცილებლად.

***— ბატონო მამუკა, პრემიერისგანაც მოვისმინეთ, რომ საჭიროა შეიქმნეს მესამე ცენტრი. რაზეც მოვისმინეთ შეფასებები, რომ პრემიერს სურს ხელოვნურად შექმნან ოპოზიციური ცენტრი და მათ მიერ მართული ძალა იყოსო...***

— პრემიერი არ არის ის ადამიანი, რომელიც ხელოვნურად დაიწყებს ამაზე მუშაობას. ეს ძალა მოვა, თვითონ გაჩნდება მსგავსი ძალა. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერმა გამოყო სამი პოლიტიკური ძალა, რომელთანაც ითანამშრომლებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს აუცილებლად ასე იქნება. გააჩნია, ვინ რამდენად მკაფიო და გასაგები იქნება საზოგადოებისთვის, შეიძლება მეოთხე პარტიაც გამოჩნდეს, მეხუთეც... მთავარია, რომ მათ ქმედითად დაიკაონ კონსტრუქციული ოპოზიციის ნიშა.

***— ბატონო მამუკა, წინ საპრეზიდენტო არჩევნები გველის, რა პროცესებს ელით უახლოეს მომავალში?***

— ჯერჯერობით მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მე ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, იმიტომ, რომ ბევრი რამე დღევანდელ ლოგიკაზე არ არის დამოკიდებული. ბევრი რამე იმ ლოგიკაზეა დამოკიდებული, რომელსაც ჰქვია ძიების პროცესი, სამართლიანობის აღდგენის პროცესი. შეიძლება ისეთი რაღაცები გახდეს ცნობილი მოკლე მომავალში და გახდება კიდეც, რომ ძალიან რთული იქნება მერე დღევანდელი პროგნოზის გამართლება. ამიტომ პროგნოზებისგან თავს შევიკავებ.

***— თქვენ ელით, რომ ბევრი რამ გაირკვევა უახლოეს მომავალში?***

— არამარტო ველი, ზუსტად ვიცი, რომ ასე იქნება.



## ღარიბაშვილი ევროპელ და ამერიკელ ექსპერტებს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების დელეგაცია ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები: მარშალის ფონდის პრეზიდენტი ქრეგ კენედი, ბოშის ფონდის უფროსი მრჩეველი, ყოფილი ელჩი დიტერ ბოდენი და სხვა მაღალი რანგის სტუმრები შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდნენ. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, განსაკუთრებით ასოცირების ხელშეკრულებისა და ვიზა ლიბერალიზაციის პროცესთან დაკავშირებული აქტუალური თემები. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაციის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე. ვიზიტი ორგანიზებულია შეერთებული შტატების გერმანული მარშალის ფონდისა და რობერტ ბოშის ფონდის მიერ და მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ერთმანეთთან დაახლოებასა და მათი განვითარების სტრატეგიების ხელშეწყობას.

ნიუსპრესი

## სასჯელაღსრულების სისტემის 6 თანამშრომლის მიმართ მასალები პროკურატურას გადაეგზავნა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, აპრილის თვეში, სამინისტროში, გენერალური ინსპექციის სახელზე წერილი შევიდა, რომელშიც საუბარი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 4 დაწესებულების თანამშრომლების თემურ გოგოლის, ირაკლი ჭითანავას, კობა ანთიას, გოგიტა გაბისონიას, ნიკოლოზ ბარგანჯიას და ონისე ლაგვილავას მხრიდან მსჯავრდებულთა მიმართ სისტემატიურად განხორციელებულ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე იყო.

„აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ 4 დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა თემურ გოგოლმა, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა ირაკლი ჭითანავამ, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა, კობა ანთიამ, უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, გოგიტა გაბისონიამ, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარმა ინსპექტორმა, ონისე ლაგვილავამ და სამართლებრივი რეჟომის განყოფილების ინსპექტორმა, ნიკოლოზ ბარგანჯიამ 2008-2012 წლების პერიოდში ჩაიდინეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის I პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა მათ მიერ დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართულ ულირს საქციელში, უგულვებელყვეს „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი“. ასევე „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი“. აღსანიშნავია, რომ სამი მათგანი, თეიმურაზ გოგოლი, კობა ანთია და გოგიტა გაბისონია ფიგურირებს საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშში.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული პირების მიმართ გამოყენებული იქნა გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა — „სისტემის ორგანოდან დათხოვნა“, ხოლო მასალა შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა სამეგრელო -ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას“ — ნათქვამია სასჯელაღსრულების სამინისტროს განცხადებაში.

ნიუსპრესი

## პაატა ზაქარეიშვილი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, გუშინ რობერტ ბოშის ფონდისა და შავი ზღვის რეგიონალური თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახურის ინფორმაციით, ზაქარეიშვილმა სტუმრებს კონფლიქტების დარეგულირებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობაზე მიაწოდა ინფორმაცია, ასევე გააცნო საქართველოს ხელისუფლების ხედვები კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ასევე, კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ევროპის ჩართულობის რესურსებზე, არალიარების პოლიტიკის გაგრძელებასა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მიმდინარეობაზე ისაუბრეს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალაჯაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კობა დავითაშვილი დავით სერგიენკოს წინააღმდეგ

## ივანიშვილი მინისტრის გაკრიტიკების გამო დავითაშვილს ეჩხუბა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლება საოცნებო ხელისუფლების საქმიანობით უკვე ღიად გამოხატავს უკმაყოფილებას. ერი განსაკუთრებით კოჰაბიტაციით არის უკმაყოფილო. ასევე ბევრი კითხვები არსებობს სხვადასხვა მინისტრების მიმართაც. მინისტრებთან კითხვები ბიძინა ივანიშვილსაც ჰქონია. ამის შესახებ პრემიერმა თავად განაცხადა. ამასთან, ივანიშვილს არ დაუკონკრეტებია, რომელ მინისტრთან აქვს კითხვები.

ივანიშვილისგან განსხვავებით, თავისი კითხვები და პრეტენზიები ღიად დააფიქსირა დეპუტატმა კობა დავითაშვილმა. დეპუტატი ამ მხრივ ნაციონალებში და მოქალაქეთა კავშირშიც გამოირჩეოდა. ის ყოველთვის ღიად გამოხატავდა პრეტენზიებს.

დავითაშვილის სამიზნე ამჯერად ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგიენკო გახდა. მისი მისამართით ბოლო ხანებში საკმაოდ ბევრი პრეტენზიები ისმის. ბოროტი ხმები ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ამბობდნენ, რომ ივანიშვილი მისი მინისტრობით უკმაყოფილო იყო. იმ პერიოდში მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ ჯანდაცვის მინისტრმა თანამდებობა დატოვა. ეს ინფორმაცია მოგვიანებით თავად სერგიენკომ უარყო.

დავითაშვილი და სერგიენკო გაზეთ „ქრონიკაში“ გამოქვეყნებული მასალის გამო შეიბნენ. დეპუტატმა სწორედ „ქრონიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დააყარა მინისტრს ქოქოლა.

დავითაშვილმა შეკითხვებით ჯანდაცვის მინისტრს გაზეთ „ქრონიკის“ საშუალებით მიმართა და მისგან ამ შეკითხვებზე პასუხები საჯაროდ მოითხოვა. დეპუტატის თქმით, კერძო სადაზღვევო კომპანიები დღემდე ინარჩუნებენ მონოპოლიას:

— ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ის გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნის ახალმა მთავრობამ მიიღო ჯანდაცვის მინისტრის ინიციატივით, როდესაც ამ სადაზღვევო კომპანიებს ეს კონტრაქტები, რომლებიც 2013 წლის 1 აპრილს უმთავრდებოდათ, ერთი წლის ვადით გაუგრძელა, — აცხადებს კობა დავითაშვილი.

მეოცნებე დეპუტატი მოითხოვს, დაუყოვნებლივ გადაისინჯოს ეს გადაწყვეტილება, რადგან მისი ინფორმაციით, პირველადი პაკეტით, რაც ყველა დაუზღვეველისთვის მოქმედებს, მომხმარებლები სათანადო მომსახურებას ვერ იღებენ:

— უამრავი შემთხვევაა, როდესაც ადამიანები იღუპებიან იმის გამო, რომ სადაზღვევო კომპანიები თანხის გადარიცხვას აჭიანურებენ, — ამბობს დეპუტატი.

„ქრონიკასთან“ საუბარში დავითაშვილმა კონკრეტული მაგალითებიც მოიყვანა „არქიმედე გლობალ ჯორჯიასთან“ დაკავშირებით. რომლის დირექტორიც, გაზეთ „ქრონიკის“ ცნობით, არის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის ძმისშვილი.

— თავდაპირველად გათვალისწინებული იყო „ნორმალური პაკეტი“ მოქალაქეებისთვის, თუმცა შემდეგში მოხდა კერძო სადაზღვევო კომპანიების ლობირება და შემცირდა სადაზღვევო პაკეტი 2.5 ლარიდან 1.11 ლარამდე. მე და ჯანდაცვის კომიტეტმა ვიცოდით, რომ ამ პაკეტს საფრთხე არ დაემუქრებოდა, ბოლო მომენტში, ჩვენთან შეუთანხმებლად ჯანდაცვის მინისტრმა მიიღო აბსოლუტურად სხვა გადაწყვეტილება, მე დავით სერგიენკოსთან მაქვს საჯარო შეკითხვა — ბატონო დავით, ვისი გავლენით მიიღეს ეს გადაწყვეტილება და ვინ დგას ამ გადაწყვეტილების უკან, რომელიც არ აწყობს არც ხალხს, არც ექიმებს და ეს არის მხოლოდ კერძო სადაზღვევო კომპანიების ხელში, ზოგადად. ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტი ამუშავებს ჯანდაცვის ახალ პაკეტს: მთავრობის დადგენილება გაუქმდება კანონით, რომელიც მაღლა დგას მთავრობის დადგენილებაზე. ეს არის ჩემი გზავნილი ჯანდაცვის მინისტრისა და სადაზღვევო კომპანიების მიმართ... ჯანდაცვის მინისტრის — დავით სერგიენკოს საქმიანობაში აშკარად ჩანს ლობირება კერძო სადაზღვევო კომპანიების. ეს არის დაუფარავი, ეს ჩანს მის ყველა ნაბიჯში, დაწყებული იმით, თუ როგორი სქემა შემოგვთავაზა პირველადი ექიმები და დასრულებული იმ ფაქტით, თუ როგორ გაუგრძელა ამ უთოფო ყაჩაღებს ერთი წლით ხალხის ძარცვისა და ბიუჯეტის ძარცვის ხელშეკრულება... ძალიან კარგი იქნება, თუ პრესით გაეცნობა ბატონი სერგიენკო ჩვენს შეკითხვებს. მისგან მოვითხოვ დამაჯერებელ პასუხებს ამ საკითხებზე. მე

დიდხანს ვიკავებდი თავს საჯარო კრიტიკისგან. აღარ ვაპირებ გაჩუმებას, მეტიც, როგორც ჩანს, ადრე უნდა დამეწყო კრიტიკა და უკეთესი იქნებოდა და ცოტა შეფხიზლდებოდა სალათას ძილში მყოფი სამინისტრო. მიმაჩნია, რომ ის პოლიტიკა, რომელიც ტარდება დღეს ჯანდაცვის სფეროში, აბსოლუტურად არ შეესაბამება იმ კურსს, რომელიც აირჩია „ქართულმა ოცნებამ“ და რომლის გამოც ხალხმა „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა. მე უკვე შიშით ვუყურებ იმ პაკეტს, რომელიც ივლისიდან ამუშავდება, — აცხადებს კობა დავითაშვილი.

კობა დავითაშვილს აინტერესებს: რატომ გახდა ჯანდაცვის სამინისტრო სადაზღვევო კომპანიების სამინისტრო და არა პაციენტების, ექიმებისა და კლინიკების სამინისტრო?

— სადაზღვევო თანხები გაორმაგდა და 633 მილიონ ლარს შეადგენს: ხომ ხედავთ, ძალიან მსუყე ლუკმაა და ძალიან არ ემეტებათ სადაზღვევო კომპანიებს ეს ლუკმა პირიდან გააგდონ... მე, კობა დავითაშვილი, ვეუბნები ყველა სადაზღვევო კომპანიას, რომ ეს ფული მათ არ შერჩებათ, — დებს პირობას კობა დავითაშვილი.

ჯერჯერობით უცნობია, როდისთვის დაიბარებენ ჯანდაცვის მინისტრს პარლამენტში. შესაძლოა, არც დაიბარონ. მეოცნებე დეპუტატებში მინისტრს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

დავითაშვილი თავის მხრივ გაჩერებას არ აპირებს. ის ამ თემებზე მომავალშიც აპირებს განგაშის ატეხას.

დავით სერგიენკო დეპუტატის ბრალდებებს გუშინვე გამოეხმაურა. შეურაცხყოფილი მინისტრის განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კობა დავითაშვილმა ბრალდებების დამამტკიცებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს, ან საჯაროდ ბოდიში მოიხადოს.

— ბატონი კობა ბრალს მდებს ძალიან მძიმე დანაშაულში — კორუფციაში. მან ან უნდა დაადასტუროს ეს ყველაფერი და დოკუმენტები წარმოადგინოს, ან საჯაროდ მოიხადოს ბოდიში! ჯანდაცვის სამინისტრომ მსოფლიო ჯანდაცვის ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, რომელიც ახალი პროექტის განხორციელებას ითვალისწინებდა. წარმოდგენილი იყო გარდამავალი პერიოდის რამდენიმე ვარიანტი და ამაში ბატონი კობაც მონაწილეობდა, თუმცა მან მოახერხა და შუამდებარე სამუშაოებით დაიწყო ღია ეთერში აპელირება. მერე მე ჩამოვაშორე იგი ამ გეგმის განხორციელებას, — განაცხადა სერგიენკომ.

კობა დავითაშვილი ბოდიშის მოხდას არ აპირებს. ის დავით სერგიენკოს ურჩევს, მის მიერ დასმულ კითხვებს გასცეს პასუხი.

ნაციონალები ამ დაპირისპირებას დადებითად შეხვდნენ. ისინი აქამ-



დე იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ ჯანდაცვის სისტემამ კრახი განიცადა. ეს პრინციპში სიმართლეა, მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია, ვინ იღაღადებს ამაზე. ნაციონალებს სხვის კრახზე საუბრის უფლება წესით არა აქვთ, მაგრამ რაკი ენას ძვალი არა აქვს, ილაპარაკონ.

— ხელისუფლებაში ბრძოლა მიდის თუ ვის დაბრალდება ჯანდაცვის სისტემაში არსებული ვითარება. მთავრობის მიერ შემოღებულ ახალ სისტემას ოპოზიციაც აკრიტიკებს. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მიდის ბრძოლა თუ ვის დაბრალდება ეს. ამიტომ, ეს განცხადებებიც ასე უნდა ჩავთვალოთ. სისტემას, რომელსაც „ქართული ოცნება“ გვთავაზობს, ეს არის ნაჩქარევი და გაუთვლელი, რომელიც რთულ შედეგებს გამოიწვევს. ეს შედეგები ჯერ არ დამდგარა, ჯერ სად ხართ?! — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ბედნიერმა დეპუტატმა მიშა მაჭავარიანმა.

დავით სერგიენკოს მიმართ სხვა სახის პრეტენზიებიც არსებობს. მას ნაციონალების კადრების ლობირებაშიც ედება ბრალი. მინისტრი ძლივს შეეელია თავის ერთ-ერთ მოადგილეს. რომელიც ნაციონალების ზეობის ხანაში თანამშრომლების დატერორებით იყო ცნობილი.

ის ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს აიძულებდა, მიხეილ სააკაშვილის გვერდი დაელაიქებინა ფეისბუქზე. ამის გარდა მათგან მოითხოვდა, არც ერთი ოპოზიციური სტატუსი არ დაეწერათ ან დაელაიქებინათ.

უფრო ადრე კი, იმ მოადგილემ სამსახურიდან პროფესიონალი ფოტოგრაფი მეტად უცნაური მიზეზით გაუშვა. მოგეხსენებათ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ სოციალურად დაუცველებიც არიან. ის ფოტოგრაფიც ხშირად იღებდა გაჭირვებულებს. მართლაც მაგარი ფოტოები იყო. იმ კაცმა კიდევ ფოტოგრაფს უთხრა, გაჭირვებულებს ბედნიერი სახეები არა აქვთ და სამსახური უნდა დატოვოო.

სერგიენკოს გამინისტრების შემდეგ სამინისტროში რამდენიმე პიროვნება დააწინაურეს. არადა, ეს ხალხი არჩევნების წინ ლამის კალაშნიკოვებით დასდევდნენ მეოცნებეებს.

დეპუტატ კობა დავითაშვილის მიერ ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგიენკოს სადაზღვევო კომპანიების ლობირებაში დადანაშაულებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგიდან გამოეხმაურა.

ივანიშვილის განცხადებით, სერგიენკოს არავითარ კორუფციასთან არ აქვს კავშირი და ეს თემა მოგონილია.

— გუშინ დავითაშვილს დავურეკე და საკმაოდ ვეჩხუბე. მან უნდა მოახერხოს და ჯერ საკუთარ გუნდში გააკეთოს განმარტებები. ის ინფორმაცია, რაც გარედან შემოაქვს, არაფერს ეფუძნება და ძალიან საწყენია, რომ მან ასეთი განცხადება გააკეთა. მე დავითაშვილს ავუხსენი, რომ თუ მას გუნდში დარჩენა სურს, გუნდს რაღაც ანგარიში უნდა გაუწიოს და ინფორმაცია პირველად სწორედ გუნდში უნდა გააჟღეროს. ყველაფერში ელემენტარული წესები არსებობს. სერგიენკო უპატიოსნესი კაცია და, რა თქმა უნდა, ეს თემა აბსოლუტურად მოგონილია და არავითარ კორუფციას არ აქვს ადგილი, - განაცხადა ივანიშვილმა.

ვერაფერს იტყვი, მაგარი დემოკრატია მძვინვარებს მეოცნებეებში. ნაციონალებს თავზე ბუზს არ უფრენენ და საკუთარი გუნდის წევრებს ხმის ამოღების უფლებასაც არ აძლევენ. სხვათა შორის, სააკაშვილმაც ასე დაიწყო.

# არჩილ კბილაშვილი დათა ახალაიას დაჭერას აღარ აპირებს

## ახალაიები ახალ პოლიტიკურ პარტიას ქმნიან

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო ხანებში ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პერსონა დათა ახალაია გახდა. დღეს ყველა კუდის უფროსზე ლაპარაკობს და რაც დრო გადის, მას სულ უფრო ნაკლებად ლანძღავენ. არადა, აქამდე ყველა უბედურების სათავედ მას ასახელებდნენ. ვითარება რამდენიმე დღის წინ შეიცვალა.



საქართველოდან გადახვეწილმა დათამ ფეისბუქის მეშვეობით განცხადება გაავრცელა, სადაც ღიად დაუპირისპირდა ვანო მერაბიშვილს. ამბობდნენ, რომ 18 აპრილს ის მეგის ქარდავასა და სოსო თოფურიძესთან ერთად საქართველოში უნდა ჩამოსულიყო. ჩამოსვლა გადაიდო. სამაგიეროდ, კომპრომატების გამოქვეყნებას დაგვპირდნენ.

სხვათა შორის, კომპრომატების გამოქვეყნებით თავიდან მეგის ქარდავა იმუქრებოდა. მან თბილისში მყოფ ძველ და ახალ ხელისუფლებას დაუბარა, მაისში ბაჩო ახალაიას თუ არ გამოუშვებთ, კომპრომატებს ინტერნეტში ავტვირთავო.

ახალაიას და მის მეგობრებს რომ კომპრომატები გააჩნიათ, ამ ინფორმაციას ქვეყნის მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილიც ადასტურებს. კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, მეგის ქარდავას მაკომპრომეტირებელი აუდიო-ვიდეოჩანაწერები ჰქონდეს.

— ის, რომ მათ შესაძლოა ხელთ ჰქონდეთ მრავალი კომპრომატის შემცველი აუდიო და ვიდეო მასალა, სავსებით რეალურია. გახსოვთ, რომ ცოტა ხნის წინ, ჩვენ პასუხისგებაში მივეცით სამხედრო პოლიციის თანამშრომლები, ვინც ჰომოსექსუალური გარემოს შექმნასა და კადრების გადაღებაში ვამხილეთ. მაშინ ამ მასალის მხოლოდ ნაწილი ჩაგვივარდა ხელში, ასეთი კადრები მრავალი არსებობს. ვუშვებთ, რომ მრავალი ასეთი მაკომპრომეტირებელი მასალა მეგის ქარდავას ხელთაა. გახსოვთ ასევე, სურმავას სახელით გავრცელებული ჩანაწერები, რაზეც კუდის ოფიცრები დავაკავეთ. ეს იყო აისბერგის პატარა ნაწილი, მსგავსი მასალების საკმაოდ დიდი ნაწილი, ლოგიკურად, ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ. საუბარი მაქვს როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, — აღნიშნავს „პრაიმ-ტაიმთან“ საუბარში კბილაშვილი.

გამოცემასთან საუბარში კბილაშვილი ახალაიასთან კომპრომატების საფუძველზე გარკვეული შეთანხმების მიღწევას გამორიცხავს:

— ეს არ არის შესაძლებელი. ჩვენ ეს იმთავითვე ვიცოდით, თუმცა, ამის მიუხედავად, გავატარეთ ის ზომები, რაც გვევალებოდა, თუნდაც ახალაიასთან მიმართებაში. კომპრომატები არ გახდება ბრალდებებზე უარის თქმის წინაპირობა, — დასძენს მთავარი პროკურორი.

ამასთან მთავარი პროკურორი არ გამორიცხავს, რომ თუ დათა ახალაიას მეშვეობით დადგინდება მნიშვნელოვანი დანაშაულებრივი ქმედებები, ის პასუხისგებაში საერთოდ აღარ მიეცეს.

— თუკი დათა ახალაიას მეშვეობით დავადგენთ მნიშვნელოვან დანაშაულებრივ ქმედებებს, გვაქვს კანონით მონიჭებული უფლება, მასზე პასუხისმგებლობა შევამციროთ ან საერთოდ გავათავისუფლოთ, — აცხადებს არჩილ კბილაშვილი.

„თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ აღმასრულებელი დირექტორი თეა თუთბერიძე ფეისბუქის საშუალებით მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, თუ დათა ახალაიას მეშვეობით დანაშაულებრივი ქმედებების დადგენა მოხდება, მასზე პასუხისმგებლობა შემცირდება.

— ჰაჰაჰააააა :)))))))) ვაი თქვენ პატრონს... ახალაიების გაბოზების იმედზე ხართ? :)))))))), — წერს თუთბერიძე.

რა სახის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებსა და ახალ ხელისუფლებას შორის? არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ თავმჯდომარე, ქარდავა, ახალაია, თოფურიძის კავშირებზე და ფარულ მოლაპარაკებებზე საუბრობს. ელისო კილაძე ამბობს, რომ ყოფილი სამი მაღალჩინოსანი საქართველოში მხოლოდ იმიტომ არ დაბრუნდა, რომ მოლაპარაკებები, რომელიც ხუხაშვილთან იმართებოდა, უშედეგოდ დამთავრდა.

— დათა ახალაია, სოსო თოფურიძე და მეგის ქარდავა საქართველოში 19 აპრილის მიტინგამდე ჩამოსვლას არ აპირებდნენ. მოლაპარაკებას ახალაიასთან ხელისუფლების მხრიდან აწარმოებდნენ გია ხუხაშვილი, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და დავით ჩხარტიშვილი, რომელიც ადეიშვილის მარჯვენა ხელი იყო და იმის მაგივრად, რომ გლდანის ციხეში იჯდეს, პიქსელის შენობაში ხუხაშვილთან ზის და მსგავსი ტიპის გარიგებებში მონაწილეობს. ეს არ არის პირველი საქმე დავით ჩხარტიშვილისთვის. მე რა ინფორმაციაც მაქვს, მოლაპარაკების საგანი იყო დათა და ამ სამეულის დაბრუნება საქართველოში, ასევე გამოძიებასთან თანამშრომლობა. იმისთვის, რომ მათ მიეცათ ჩვენება ვანო მერაბიშვილის და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. ასევე გამოემზეურებინათ სხვა კომპრომატები, — განაცხადა კილაძემ.

სააგენტო „პირველის“ ცნობით, დათა ახალაია და „ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი როლანდ ახალაია ახალ პოლიტიკურ ძალას ქმნიან.

როგორც „პირველისთვის“ გახდა ცნობილი, აღნიშნული საკითხის განხილვა უკვე მიმდინარეობს და ახალი ძალა საზოგადოების წინაშე ოქტომბრამდე წარდგება.

— ახალი ძალის შექმნის შესახებ შიდა კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები სამომავლოდ. წინ ბევრი საინტერესო რამ გველოდება. სავარაუდოდ, ოქტომბრისთვის ახალი ძალა შეიქმნება, რომელსაც სათავეში ახალაიები მათ თანამოაზრეებთან ერთად ჩაუდგებიან“, — განუცხადა „პირველს“ წყარომ.

იქიდან გამომდინარე, რომ ახალაიებთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, „პირველი“ ინფორმაციის გადასამოწმებლად მათთან დაახლოებულ პირს, უფლებადამცველ თეა თუთბერიძეს დაუკავშირდა. თუთბერიძე აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მისთვის მსგავსი არაფერია ცნობილი.

— ამ ეტაპზე მსგავსი არაფერი ვიცი, თუმცა, მომავალში რა მოხდება, შეიქმნება თუ არა პარტია, ჯერ არავინ იცის. შესაძლოა, შეიქმნას ბევრი პოლიტიკური გაერთიანება, ამაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, — განაცხადა თუთბერიძემ.

ამასთან, „პირველი“ დათა ახალაიას ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილსაც დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ აღნიშნულზე არაფერი სმენია.

2013, 23 აპრილი, №95

# წითელას შეიძლება წითურას ეპიდაფეთქება მოჰყვეს

მერი ნამორაძე

რამდენად არის ინფორმირებული საქართველოს მოსახლეობა იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ? რამდენად იცავენ მშობლები იმუნიზაციის კალენდარს? საზოგადოების მეტად ინფორმირების მიზნით გუშინ საქართველოში იმუნიზაციის კვირეული დაიწყო, რომლის გზავნილებია მოსახლეობის დარწმუნება აცრების პრიორიტეტულობაში და წითელას მიმდინარე ეპიდაფეთქების პირობებში მოსახლეობის, განსაკუთრებით, ბავშვების დაცვა ვაქცინაციის პროცესის გაძლიერების გზით.

იმუნიზაციის კვირეულს მიეძღვნა გუშინ პრესკონფერენცია ჯანდაცვის სამინისტროში ლოზუნგით „აცერი და დაიცავი“. როგორც მინისტრის მოადგილემ მარიამ ჯაშმა აღნიშნა, საქართველო უერთდება ევროპის რეგიონის იმ 53 ქვეყანას, რომელიც იმუნიზაციის კვირეულს აღნიშნავს. მინისტრის მოადგილის თქმით, საქართველოში იმუნიზაციის პროგრამის შესუსტების შედეგია წითელას შემთხვევების უჩვეულო მატება. ამასთან მან მოუწოდა მშობლებს, არ გამოტოვონ გეგმიური იმუნიზაცია და ეროვნული კალენდრით ვისაც ეკუთვნის აცრა, დროულად მოხდეს მათი ვაქცინაცია. ბავშვთა პროფილაქტიკური აცრების კალენდრის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს 11 დაავადების – ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, წითელას, წითურას, ყბაყურის, ბ ჰეპატიტის, ბ ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცასა და როტა ვირუსული ინფექციის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაციას. ეს ის მინიმუმია, რითაც უზრუნველყოფს სახელმწიფო მოსახლეობას.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, იმუნიზაცია კვლავ პრიორიტეტად რჩება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონში. ყველა ქვეყანაში არის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელიც არ არის აცრილი და, შესაბამისად, დაუცველია ვაქცინაციით მართვადი დაავადებების წინაშე. იმუნიზაცია ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და სიღარიბის შემცირების პროგრამების სტრატეგიულ კომპონენტს წარმოადგენს. ვაქცინაციით მართვადი ინფექციების ეპიდაფეთქებები ამჟამადაც სახიფათოა. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, კვირეულის ფარგლებში რაც შეიძლება მეტი მესიჯი მიეწოდება მოსახლეობას იმის შესახებ, რომ აცრა არის უფასო, ქვეყანაში არის საკმაო რაოდენობის მაღალხარისხიანი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული ვაქცინების მარაგი.



ამ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტრო მაინც უკმაყოფილოა მოსახლეობის იმ აქტიურობით, რაც წითელას 7 წლამდე ასაკის ბავშვთა განმეორებით აცრას, სამედიცინო პერსონალის თუ წითელასთან კონტაქტში მყოფი პირების აცრას ეხება. დღეისათვის დამატებით აცრილია 10219 ადამიანი. მასობრივი აცრების კამპანია 31 მაისამდე გაგრძელდება. დღეისათვის 1700-ს გადააჭარბა წითელათი დაავადებულთა რაოდენობამ. ვარაუდობენ, რომ მაისის ბოლოსათვის გავრცელების მასშტაბმა კლება უნდა დაიწყოს, თუ ასე არ მოხდა, მაშინ ვაქცინაციის პროცესი კიდევ უფრო მასშტაბურად გაგრძელდება და 8-40 წლამდე ასაკის მოსახლეობას შესთავაზებენ წითელას ვაქცინას, მანამდე კი, ამ ასაკის პაციენტებს და სხვა მსურველებსაც ვაქცინაციაში კომერციული ფასის 30-35 ლარის გადახდა მოუწევთ თუ აცრას გადაწყვეტენ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოში დაბალი იმუნური ფენა ფიქსირდება 10-დან 40 წლამდე ადამიანებში, რომლებსაც არ აქვთ წითელა-წითურას საწინააღმდეგოდ იმუნიტეტი. ამიტომ არ არის გამორიცხული, დაიგეგმოს ამ ასაკის ადამიანთა აცრაც:

– ეს იქნება რეგიონალური პასუხი, რადგან წითელას ეპიდაფეთქება მხოლოდ საქართველოში არ არის, იგივე სიტუაციაა დაახლოებით ჩვენს მეზობელ ქვეყნებში – თურქეთში, აზერბაიჯანში, სამხრეთ რუსეთში და კიდევ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. მათ შორის ინგლისში, საფრანგეთში იყო შარშან, შარშანწინ. ამიტომ საჭირო იქნება ასეთი რეგიონალური პასუხი – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად მუშაობს, რათა რეგიონმა გასცეს პასუხი ამაზე. რადგან წითელა მიეკუთვნება იმ დაავადებებს, რომლებიც 2015 წელს ევროპის რეგიონში უნდა აღმოიფხვრას. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ეროვნული კალენდრის მიხედვით, 11 დაავადება იმართება ვაქცინებით, ყველაზე კარგი პროფილაქტიკის საშუალებაა ბავშვების აცრა. ამას ადასტურებს ისტორია, რადგან კაცობრიობა მოერია ყვავილს სწორედ იმუნიზაციის საშუალებით და ყვავილი აღარ ფიქსირდება. მალე რიგში დგას პოლიომიელიტი, რომელიც 88 წელში იყო 120 ქვეყანაში და დღეს ფიქსირდება მხოლოდ 3 ქვეყანაში. ევროპა და ჩვენც 2002 წლიდან პოლიომიელიტისგან ვართ თავისუფალი. ამას მოსდევს წითელას ელიმინაცია. წითელა ამერიკის კონტინენტმა უკვე აღმოფხვრა 2000 წლისთვის. ევროპა მიდის მის ელიმინაციაზე და გეგმავს, რომ 2015 წლისთვის უნდა აღმოიფხვრას. ეს შესაძლებელია მხოლოდ მასობრივი კამპანიებით, რომლის განხორციელება, ალბათ, მოგვიწევს, რადგან 2008 წელს ვერ ავცერით ერთი მილიონი ადამიანი, რომელიც იყო სამიზნე. აიცრა მხოლოდ ნახევარი მილიონი. ახლა ასაკი ალბათ ცოტა აიწევს, იქნება 7-დან 40 წლამდე, როცა დაიგეგმება ეს. ველოდებით რეკომენდაციებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან, სამიზნე კონტინგენტი მეტი იქნება და ეს კამპანია უნდა ჩავატაროთ, რათა აღარ გვექნას ასეთი შემთხვევები, – აღნიშნა გამყრელიძემ.

## სკოლებს ფსიქოლოგები უბრუნდებიან

მერი ნამორაძე

კარგა ხანია განათლების სამინისტროს საჯარო სკოლებში ფსიქოლოგთა საშტატო ერთეულის გაუქმებას საყვედურობდნენ. რთული ქცევების მქონე თუ ჰიპერაქტიულ ბავშვებთან მუშაობა პედაგოგების თავისტკივილად იქცა და ფსიქოლოგის სკოლაში მუშაობის აუცილებლობაზეც არაერთხელ გაკეთდა აქცენტი. როგორც იქნა, განათლების სამინისტრომ კარგა ხნის თხოვნა-მოთხოვნა გაითვალისწინა და მანდატურის სამსახურის ბაზაზე ფსიქოლოგიური ცენტრი აამოქმედა. ახალი პროექტი ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა გააცნო.

ფსიქოლოგის ფუნქციის შეთავსება მანდატურებს უნდა მოეხერხებინათ თავდაპირველად, მაგრამ ეს რომ შეუძლებელი მისია აღმოჩნდა,



მალე დარწმუნდნენ განათლების მესვეურები. ასე რომ, ისევ პროფესიონალი ფსიქოლოგების სკოლაში შესვლაზე გაკეთდა აქცენტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრი, ფსიქოლოგებით, ბავშვთა ფსიქიატრებითა და სოციალური მუშაკებით დაკომპლექტდება, რათა ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე 6-დან 18 წლამდე სკოლის მოსწავლეებსა და მათი ოჯახის წევრებს კვალიფიციური ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიონ. ცენტრი მოზარდებს დაეხმარება იმპულსური ქცევის მართვასა და საკუთარი თავის კონტროლის გამომუშავებაში, აგრესიული ქცევის შემცირებაში, ემოციების რეგულაციაში, თანატოლებთან პრობლემური ურთიერთობის მოგვარებაში, კომუნიკაციისა და კონფლიქტის მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და ინტერპერსონალური ურთიერთობების დარეგულირებაში.

როგორც განათლების სამინისტროში ამბობენ, ფსიქოლოგიური ცენტრი საგანმანათლებლო საქმიანობას განახორციელებს სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასა და მანდატურებთან. ცენტრის მომსახურება ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თერაპიას და თემატური ტრენინგპროგრამების შემუშავებასა და ჩატარებას. უახლოეს მომავალში ფსიქოლოგიური ცენტრის გახსნა, თბილისის გარდა, იგეგმება ბათუმში, ქუთაისში, გორსა და თელავში, სადაც სკოლის ადმინისტრაციის რეკომენდაციით მისულ მოსწავლეებს დახმარებას გაუწევენ.

## მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი მოსახლეობის მხოლოდ 30% აქვს

საქართველოში მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის არქონა კვლავ პრობლემად რჩება.

როგორც გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, დღეს მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტს აქვს. შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელშიც სამინისტროსთან ერთად საჯარო რეესტრის სააგენტოც არის ჩართული და ორ კვირაში შეიმუშავებს უმოკლეს გზას, თუ როგორ უნდა მოხდეს მიწების რეგისტრაცია.

როგორც მან აღნიშნა, პარლამენტში განიხილება კანონპროექტი კოოპერატივების შესახებ, რომლის მიღების შემდეგაც სოფლის მოსახლეობას, ვისაც მცირე მიწის ნაკვეთი აქვთ, ნებაყოფლობით შეეძლებათ ჩამოაყალიბონ კოოპერატივი დაა გააფართოვონ საქმიანობა.

თუმცა მინისტრი ფიქრობს, რომ ამას გარკვეული დრო დასჭირდება, რადგან მოსახლეობა მსგავსი კოოპერატივების შექმნას საბჭოთა კავშირის პერიოდში ცუდად შეხვდა.

მედიანიუსი

## „ცესკომ“ შუალედური არჩევნებისთვის ბიულეტენების ბეჭდვა დაიწყო

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის ბიულეტენების ბეჭდვის პროცესი დაიწყო. ბიულეტენების დაბეჭდვას სტამბა შპს „თამარიონი 2002“ უზრუნველყოფს.

„ცესკოს“ პრესსამსახურის ინფორმაციით, შუალედური არჩევნებისთვის სულ 198 500 ბიულეტენი დაიბეჭდება.

საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლები აკვირდებიან.

ბეჭდვის პროცესი 24 აპრილს დასრულდება.

ნიუსპრესი

## საქართველოში არამდგრადი ამინდი დღესაც შენარჩუნდება

საქართველოში არამდგრადი ამინდი 23 აპრილსაც შენარჩუნდება. როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, დასავლეთ საქართველოში უმეტესად იწვიმებს. მთაში მოთოვს. იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში, ზოგან ძლიერი – 17-22 მეტრი წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა დაბლობში ღამით +4,+9; დღისით +7,+12 გრადუსი სითბო; მთაში ღამით 0,+5; დღისით +3,+8 გრადუსი სითბო; მაღალ მთაში ღამით -3 გრადუსი ყინვა, +2 გრადუსი სითბო; დღისით 0,+5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ზოგან ხანმოკლე წვიმა ელჭექით. შესაძლებელია სეტყვა. მთაში მოთოვს. იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15, დროგამოშვებით 20-25 მეტრ/წამი სიჩქარით.

ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა ბარში ღამით +6,+11; დღისით +11,+16; მთაში ღამით 0,+5; დღისით +4,+9 გრადუსი სითბო. მაღალ მთაში ღამით -5 გრადუსი ყინვა, 0 გრადუსი; დღისით 0, +5 გრადუსი სითბო.

თბილისში უმეტესად უნალექო ამინდი იქნება. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15; დროგამოშვებით 20-25 მეტრი/წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა ღამით +9; დღისით +14 გრადუსი სითბო.

მედიანიუსი

## ირაკლი მელაშვილი: „მუნიციპალიტეტებში „ქართული ოცნების“ 26 აქტივისტი დაისაჯა“

მუნიციპალიტეტებში ძალადობრივ აქციებში მონაწილეობისათვის საქმე 26 პირის მიმართ აღიძრა და დაისაჯნენ კიდეც. ამის შესახებ თბილისში, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე მომზადებული ანგარიშის პრეზენტაციაზე პრემიერ-მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით, 26-ვე პირი კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტი და მხარდამჭერია.

ირაკლი მელაშვილის ინფორმაციით, თვითმმართველობებსა და მათზე დაქვემდებარებულ უწყებებში 35 000-40 000 ადამიანია დასაქმებული. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი მათგან მხოლოდ 5,3 პროცენტი, ანუ 1877 ადამიანი გათავისუფლდა.

„ჩემი პირადი აზრია, რომ გარკვეულ შემთხვევებში კანონდარღვევით გათავისუფლების ფაქტებიც იყო, რასაც რეაგირება უნდა მოჰყვეს. თუმცა ცენტრალურ ხელისუფლებას მოქმედი კანონმდებლობა ამ პროცესებში ჩარევის იურიდიულ უფლებას არ აძლევს. ამაზე სამართლებრივი რეაგირება არცერთ სამთავრობო უწყებას არ შეუძლია. ერთადერთი ორგანო, რომელსაც თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე სამართლებრივი რეაგირება შეუძლია, არის გუბერნატორის ინსტიტუტი“, –- განმარტა ირაკლი მელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში არჩევნების შემდეგ განვითარებულ პროცესებზე მონიტორინგის ანგარიში არასამთავრობო ორგანიზაციამ –- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ –- წარმოადგინა. მასში პოლიტიკური პროცესების, საკადრო ცვლილებებისა და თვითმმართველობების მოხელეთა მიმართ განხორციელებულ დევნაზეა საუბარი.

მედიანიუსი

## ირაკლი ალასანია: „გვინდა, რომ 26 მაისს საერთო სახალხო ზეიმის ფორმა ჰქონდეს“



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, მათი სურვილია 26 მაისს საერთო სახალხო ზეიმის ფორმა ჰქონდეს.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ღონისძიებებში რეგიონებიც უნდა ჩაერთონ.

„მე განვაცხადე, რომ 26 მაისს აუცილებლად იქნებოდა სამხედრო კომპონენტი. გვინდა, რომ მთლიანად ამ დღეს საერთო სახალხო ზეიმის ფორმა ჰქონდეს, მათ შორის რეგიონებშიც. გიორგი მარგველაშვილს დაევალა ამ ღონისძიებების კურირება, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია“, – განაცხადა ალასანიამ.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების საორგანიზაციო კომისია შეიქმნა, რომელიც მინისტრთა კაბინეტით დაკომპლექტდა. კომისიას ვიცე-პრემიერი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს.

მედიანიუსი

## გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაცია შესაძლოა მისმა გარემოცვამ მოახდინოს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ მიმდინარე წლის 15 აპრილიდან 22 აპრილამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაცია, შესაძლოა მისმა გარემოცვამ მოახდინოს.

კითხვაზე – „სარწმუნოდ მიგაჩნიათ თუ არა ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციას საკუთარი გარემოცვა მოახდენს,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 47,1 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 35,3 პროცენტმა კი საწინააღმდეგო მოსაზრება დააფიქსირა.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 17,6 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## თბილისის მერიის დელეგაციის წევრებს საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცეს

თბილისის მერიის დელეგაციის წევრებს საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცეს. ამის შესახებ განცხადება საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი ვაშაძემ გააკეთა.

მისი თქმით, შაბათს, როდესაც თბილისის მერიის დელეგაცია პრაღაში ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრებოდა, დელეგაციის სამ წევრს – დათო ალავიძეს, ირაკლი დვალსა და დავით წერეთელს გამგზავრების უფლება არ მისცეს და კონკრეტული მიზეზიც არ განუმარტეს.

ვაშაძის განცხადებით, ამ ფაქტის შემდეგ დელეგაციამ გამგზავრებაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც საზღვარზე გადაწყვეტილება შეცვალეს და დელეგაცია პრაღაში.

ნიუსპრესი

# მინისტრებიდან ყველაზე მაღალი რეიტინგი თეა წულუკიანს აქვს

ნათია ხურცილავა

ენ-დი-აიმ სოციოლოგიური კვლევის ახალი შედეგები გამოაქვეყნა. ამჯერად სოციოლოგიურმა კომპანიამ პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების რეიტინგების კვლევის შედეგები გამოაქვყნა. კვლევა მოიცავს 13-დან 27 მარტამდე პერიოდს. საქართველოს მასშტაბით 3103 ინტერვიუერი გამოიკითხა.

ენ-დი-აი-ს კვლევების მიხედვით მინისტრთა კაბინეტის მუშაობა შეფასდა. გამოკითხულთა უმეტესობა ყველაზე კარგად იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის საქმიანობას აფასებს. შემდეგ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია იკავებს მეორე ადგილს.

გამოკითხულთა 19% წულუკიანის საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს, 33% – კარგად, 26% – საშუალოდ, 4% – ცუდად, 2% – კი ძალიან ცუდად, 12%-სთვის მისი საქმიანობის შესახებ ცნობილი არ არის, 5%-მა კი პასუხზე უარი განაცხადა.

რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, რომლის საქმიანობასაც გამოკითხულთა 8% – ძალიან კარგად, 34% – კი კარგად, 33% – საშუალოდ, 3% – ცუდად, 1% კი ძალიან ცუდად აფასებს.

გამოკითხულთა 10% ძალიან კარგად აფასებს შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას, 33% – კარგად, 31% – საშუალოდ, 5% – ცუდად, 1% კი ძალიან ცუდად.

სხვა მინისტრების რეიტინგი კი შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა: მაია ფანჯიკიძე, დავით სერგეენკო, ნოდარ ხადური, სოზარ სუბარი, დავით კირვალიძე, კახა კალაძე, გიორგი მარგველაშვილი, დავით ნარმანია, პაატა ზაქარეიშვილი, ალექსი პეტრიაშვილი და დავით დარახველიძე.

გამოკითხულთა უმრავლესობა – 58% საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად „ქართული ოცნების“ კანდიდატს ისურვებდა.

ენ-დი-აი-ს კვლევის თანახმად, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, ამომრჩეველთა 68% მასში მონაწილეობას მიიღებდა, 32% კი – არა.

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია იმასთან შედარებით, რაც 2012 წლის ნოემბერში (72%) იყო.

რაც შეეხება კითხვას – ყველაზე მეტად ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად? პასუხები ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნების“ კანდიდატი 58%, არ ვიცი – 17%, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი 8%, უარი პასუხზე – 6%, არც ერთი კანდიდატი – 4%, გიორგი თარგამაძე – 3%, შალვა ნათელაშვილი – 2%, სხვა – 1%.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 1% პრეზიდენტად მაინც მიხეილ სააკაშვილს ისურვებდა მიუხედავად იმისა, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

საქართველოს მოსახლეობის 60% მიიჩნევს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოა“, ხოლო 10%-სთვის „ნაციონალური მოძრაობა“.

აღნიშნული მონაცემები წინა კვლევასთან შედარებით, რომელიც ნოემბერში ჩატარდა, თითქმის არ შეცვლილა.

საქართველოს მოსახლეობის 56% მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალაა.

კითხვაზე, რომელია ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალა ქვეყანაში, გამოკითხულთა 6% აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“.

ქართული ოფისის ხელმძღვანელი ლუის ნავარო აღნიშნულ მაჩვენებელს პრემიერ-მინისტრის განცხადებას უკავშირებს, რომლის თანახმად, შესაძლოა, ყველაზე ძლიერი ოპოზიცია თავად კოალიციიდან წამოვიდეს.

გამოკითხულთა 16% ფიქრობს, რომ არც ერთი პარტია არ არის ძლიერი ოპოზიცია, ხოლო „დემოკრატიული მოძრაობა“, „ლეიბორისტული პარტია“, ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა“ და პარტია „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს მოსახლეობის 1-1% მიაჩნია ძლიერ ოპოზიციად.

ენ-დი-აი-ს კვლევის მიხედვით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გამოკითხულთა 75%-ს მოსწონს, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი – 25%-ს.

რაც შეეხება კათოლიკოს-პატრიარქის რეიტინგს, კვლევის მიხედვით იგი კვლავ ინარჩუნებს ლიდერ პოზიციას. საქართველოს მოსახლეობაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის გარდა, თითქმის ყველა პიროვნების მოწონების რეიტინგმა დაიკლო.ენ-დი-ია-ს მიერ გამოკითხულთა 92% აცხადებს, რომ პატრიარქი მოსწონს, ხოლო 75%-ს კი – პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. აღსანიშნავია, რომ პრემიერი ნოემბერში გამოკითხულთა 80% მოსწონდა.

ლუის ნავაროს განცხადებით, თითქმის არ შეცვლილა პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილისა და უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის რეიტინგები. უსუფაშვილი მოსახლეობის 66% მოსწონს, ხოლო ბაქრაძე – 48%.




რაც შეეხება პრეზიდენტის რეიტინგს, მიხეილ სააკაშვილი გამოკითხულთა 25% მოსწონს.

ასევე კვლევის თანახმად, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბაშვილი მოსახლეობის მხოლოდ 26% მოსწონს, უშიშროების მდივანი გიგა ბოკერია კი – 8%-ს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე გამოკითხულთა 31% მოსწონს, ხოლო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი – 59%. რაც შეეხება ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს, ის საქართველოს მოსახლეობის 36% მოსწონს, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი კი – 18%.

გამოკითხულთა უმრავლესობა პარლამენტის საქმიანობას ახლა უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე გასული წლის აგვისტოში.

ენ-დი-აი-ს კვლევების თანახმად, გამოკითხულთა 3% პარლამენტის საქმიანობას ძალიან კარგად აფასებს, 27% კი – კარგად.

როგორც ენ-დი-აი-ს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, წინა კვლევებთან შედარებით, მცირედ გაიზარდა იმ ადამიანების ოდენობა, ვინც პარლამენტის საქმიანობას დადებითად აფასებს და შემცირდა მათი რაოდენობა, ვინც ნეგატიურად.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებით, ხვალ რომ ადგილობრივი არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა 62% ხმას კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მისცემდა.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 17%-მა არ იცის ვის მისცემდა ხმას, გამოკითხულთა 9% „ნაციონალური მოძრაობას“ აირჩევდა, 6%-მა კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

ენ-დი-აიმ სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში გამოკითხულებს სასამართლოებთან დაკავშირებითაც დაუსვა კითხვა.

გამოკითხულთა 18% სასამართლოების საქმიანობას უარყოფითად აფასებს.

გამოკითხული მოსახლეობის 16% სასამართლოს საქმიანობას დადებითად აფასებს.

ამავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 53% დადებითად აფასებს საქართველოს ჯარის საქმიანობას, ხოლო 51% – პოლიციის საქმიანობას.

რაც შეეხება პარტიებს, გამოკითხულთა 55% დადებითად აფასებს კოალიცია „ქართული ოცნების“ საქმიანობას, ხოლო – 5% უარყოფითად. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობას გამოკითხულთა მხოლოდ 13% აფასებს დადებითად, ხოლო უარყოფითად – გამოკითხულთა 41%.

## ბიძინა ივანიშვილი დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ხვალ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე სიტყვით გამოვა. ევროსაბჭოს დეპუტატები საქართველოს პრემიერ-მინისტრს, 23 აპრილს, ადგილობრივი დროით 12 საათზე მოუსმენენ. მიმართვის შემდეგ კი, ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრების შეკითხვებს უპასუხებს.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის გარდა, ევროპაში ვიზიტის ფარგლებში, ბიძინა ივანიშვილი ორმხრივ შეხვედრებსაც გამართავს.

დაგეგმილია შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან ჟან კლოდ მინიონთან. პრემიერი შეხვედრებს გამართავს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტთან დინ შპილმანთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანთან ვოიცეკ სავიცკისთან, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისართან ნილს მუჟნიეკსთან, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტთან ჟანი ბუკიკიოსთან და ვენეციის კომისიის მდივან ტომას მარკერტთან, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან ტორბიორნ იაგლანდთან, ევროპის საბჭოს კონგრესის ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების გენერალურ მდივანთან ანდრეას კოფერთან, ევროპის ლიბერალ დემოკრატების ალიანსის პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარესთან ანე ბრასორთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალისტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილესთან ნატაშა ვუკოვიჩთან და რუმინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ პონტასთან.

სტრასბურგში ვიზიტის დროს, დაგეგმილია ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან. ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი სტრასბურგში 24 აპრილს დასრულდება.

ნიუსპრესი

## „ახალი მემარჯვენეები“ პარლამენტს შრომის კოდექსში ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებისკენ მოუწოდებენ

საქართველოს პარლამენტში „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის“ მეორე მოსმენის წინ, „ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკურმა მდივანმა მანანა ნაჭყებიამ პრესკონფერენცია გამართა და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, კოდექსში რამდენიმე პუნქტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებისკენ მოუწოდა.

„საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის“ ცალკეული მუხლები, რომლებიც დასაქმებულთა მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის გამო შესაბამისობაში არ მოდიოდნენ საერთაშორისო პრაქტიკასთან, შესაცვლელი იყო . კარგია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ რამდენიმე ცვლილება, რომელიც თითქოს დასაქმებულის ინტერესებს ემსახურება, პირიქით, დააზარალებს მათ, რადგან ეს ცვლილებები უზღუდავს ბიზნესს ფინანსური და ადმინისტრაციული დაგეგმვის ეფექტურად მართვის და წარმოების განვითარების შესაძლებლობას. ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებული ბიზნესი კი დამატებით სამუშაო ადგილების შექმნის ნაცვლად იძულებული გახდება შეამციროს წარმოება და შესაბამისად, სამუშაო ადგილებიც“-განაცხადა ნაჭყებიამ.

ნაჭყებიას განცხადებითვე, კოდექსში ცვლილებები ორ მუხლზე– ვადიანი შრომითი ხელშეკრულებებისა და 40 საათიანი სამუშაო კვირის დაწესებაზეც უნდა შევიდეს.

ნიუსპრესი

## დავით ზალკალიანი: „ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი ემთხვევა ქართველი ხალხის არჩევანს“

ნათია ხურცილავა

ცოტა ხნის წინ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა ირინა იმერლიშვილმა დოკუმენტები გამოაქვეყნა, სადაც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის არამიზნობრივი ხარჯების შესახებ ინფორმაცია განასაჯაროვა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, იუშჩენკოს აბანოს მომსახურებაში სულ 591 ლარია დახარჯული.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ვიზიტის ხარჯების გამოქვეყნებაში პრობლემას ვერ ხედავს.

– საერთოდ ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია უცხოეთის დელეგაციების ვიზიტებთან, უნდა იყოს გამჭვირვალე და ყველა მოქალაქემ, რომელიც არის გადასახადის გადამხდელი, იცოდეს, სად მიდის ეს ხარჯები. მე ამაში კანონსაწინააღმდეგოს ვერაფერს ვხედავ, – განაცხადა ზალკალიანმა.

როგორც მინისტრის პირველი მოადგილე დასძენს, პარლამენტი, ალბათ, სხვა ხარჯებთან ერთად გამოიძიებს ამ ხარჯების მიზნობრიობასაც.

გამოქვეყნებული დოკუმენტის პასუხად იუშჩენკოს პრესმდივანმა განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ 2011 წლის 6 აპრილს ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში არ ყოფილა.

მისივე თქმით, უკრაინის ექსპრეზიდენტი მზადაა, საქართველოს ბიუჯეტს ის 400 დოლარი აუნაზღაუროს, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თითქოსდა მისი მასპინძლობისთვის დახარჯა.



საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ქართველი ხალხის არჩევანს ემთხვევა.

ზალკალიანმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ალექსეი პუშკოვის იმ განცხადების საპასუხოდ აღნიშნა, რომლის თანახმადაც რუსი დეპუტატები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სიტყვით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების შესახებ დაუსვამენ კითხვას.

– ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი ემთხვევა ქართველი ხალხის არჩევანს, რომელიც მკვეთრად დაფიქსირდა რეფერენდუმზე. ბატონ პუშკოვს კი ექნება საშუალება დასვას კითხვები, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

როგორც ცნობილია, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსული დელეგაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის წინაშე რუსეთთან მიმართებაში ქვეყნის ხელმძღვანელობის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის საკითხს დააყენებენ.

– ჩვენ ვაპირებთ, ივანიშვილს დავუსვათ კითხვები იმასთან დაკავშირებით, რამდენად აპირებს იგი შეცვალოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, რადგან ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლების ყველა განცხადება იმავე მიმართულებით ვითარდება, რომელსაც სააკაშვილი ატარებდა, – განაცხადა პუშკოვმა.

– ჩვენ გვსურს, გავიგოთ, როგორი იქნება ცვლილებები, რომელიც მოგვცემს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობა არსებობს, – აღნიშნა პუშკოვმა.

საგარეო უწყების ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ამერიკის შეერთებული შტატების ახალ სახელმწიფო მდივანს ჯონ კერის შეხვდება.

შეხვედრა ბრიუსელში გაიმართება, სადაც 23 აპრილს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების მინისტერიალი გაიმართება.

ნატო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ასევე შეხვდებიან აისაფის ოპერაციაში ჩართული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე.

ვიზიტის ფარგლებში საგარეო უწყების ხელმძღვანელი ასევე ორმხრივ შეხვედრებს გამართავს, როგორც ჯონ კერისთან, ისე ევროკომისართან გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულესთან, ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილესთან ელგა შმიდტთან და ევროკომისართან ვაჭრობის საკითხებში კარლ დეგუხტთან.

საგარეო საქმეთა მინისტრიის პირველმა მოადგილემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 23-24 აპრილს საქართველოს ბენილუქსის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების პოლიტიკური დირექტორების ვიზიტი გაიმართება.

მისი ინფორმაციით, დელეგაციის წევრები თავად ზალკალიანს, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თამარ ბერუჩაშვილს, სახელმწიფო მინისტრს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარეიშვილს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს დავით დარახველიძეს და პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძეს შეხვდებიან.

ასევე, დაგეგმილია ბენილუქსის ქვეყნების დელეგაციის შეხვედრა არასამთავრობო სექტორთან. მიმდინარე კვირას საქართველოს კიდევ ერთი დელეგაცია, მარშალის ფონდის დელეგაცია ეწვევა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა ბრიფინგზე განაცხადა, ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია შეხვედრებს გამართავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვა უწყებებში.

დელეგაციის შემადგენლობაშია რობერტ ბოშის ფონდის წარმომადგენელი დიტერ ბოდენი, რომელიც გასულ კვირას ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა, სადაც დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა.

დავით ზალკალიანის თქმით, დიტერ ბოდენი ძალიან გამოცდილი დიპლომატია, რომელსაც საქართველოში კონფლიქტების მოგვარებაზე ბევრი აქვს ნამუშევარი.

ზალკალიანის განცხადებით, ბოდენის აფხაზეთში ვიზიტის თაობაზე დამატებითი ინფორმაცია მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ის მარშალის ფონდის დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს ეწვევა.

# ჯონდი ბაღათურია: „ახალი ხელისუფლება ნაცმოძრაობის ბიზნესების გადარჩენაზეც ზრუნავს“

**თამარ ნინიძე**

„ქართული დასის“ თავმჯდომარე ჯონდი ბაღათურია დღეიდან ოპოზიციაში გადადის. ზუსტად ასე განაცხადა მან „პრაიმტაიმში“ პრესკონფერენციაზე. აქამდე, ბაღათურია თვლის, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და არჩევნებში ხელისშემწყობი პოლიტიკოსი იყო, რომელიც თავს ამ კოალიციის პარტნიორად მოიაზრებდა. თუმცა, ახლა ის აღნიშნავს, რომ სოციალური და პოლიტიკური ფონი დღითი დღე მძიმდება, საერთაშორისო ასპარეზზეც საქართველო ცუდად გამოიყურება, განსაკუთრებით თურქეთთან აქვს დაულაგებელი ურთიერთობები, რაც, ბაღათურიას თქმით, ძველი და ახალი ხელისუფლების ბრალია.

„ბიზნესს მიაჩნია, რომ არაფერი შეცვლილა, ხალხი მოტყუებულად და მიტოვებულად თვლის თავს, ქართული ოცნება კი ნაციონალებთან კინკლაობაშია გართული, ამ საჩვენებელი კინკლაობის უკან დგას ნაცმოძრაობის პოლიტიკური და ეკონომიკური გადარჩენის საკითხი“, – აცხადებს ბაღათურია.

ქართული დასის ლიდერს მიაჩნია, რომ ახალი ხელისუფლება ნაცმოძრაობის ბიზნესების გადარჩენაზეც ზრუნავს, ასევე იმაზეც, რომ ნაცმოძრაობა დაფიქსირდეს ქვეყანაში ერთადერთ ძლიერ ოპოზიციურ ძალად. ზუსტად ეს თქვა დავით უსუფაშვილმა, რომ ჩვენი მიზანია ნამოძრაობის პოლიტკური გადარჩენაო.

„ნაცმოძრაობა არის დამნაშავეთა ბანდა, თქვენ კი უნდა მიხვდეთ, რომ ოპოზიციაში აღარ ხართ, ხელისუფლებაში ხართ და თუ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა და ბიუჯეტის ფული დახარჯა საკუთარი მიზნებისთვის, პასუხი უნდა აგებინოთ“, – ამ სიტყვებით მიმართავს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ბაღათურია.

ქართული დასის თავმჯდომარის თქმით, ქვეყანაში სრული სტაგნაციაა, არც ერთი ადამიანი არაა დასაქმებული, ყრუ კედელია ხელისუფლებასა და ხალხს შორის, რეგიონებში განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ტელეფონების ნომრები გამოიცვალეს და ხალხთან კონტაქტი გაწყვიტეს. თავად მხოლოდ საკუთარი ნათესავების დასაქმებაზე და ცხოვრების კეთილმოწყობაზე ზრუნავენ.

ჯონდი ბაღათურია ეჭვობს, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას, მნიშვნელოვან საკითხებში არასწორ ინფორმციას იღებს. ის, რომ დღეს ივანიშვილი ინფორმაციულ იზოლაციაშია, ეს არა მარტო მის ძალაუფლებას ემუქრება, არამედ პირველ რიგში საშიშია ქვეყნისთვის.

რესპუბლიკელებსა და ქართულ დასს შორის ურთიერთობები რომ კარგი არ არის, ბაღათურიამ ეს დაადასტურა. რესპუბლიკელებთან დასელებს არა აქვთ იდეოლოგიური და პოლიტიკური პოზიციები დაახლოებული, ბაღათურიას იმის აღიარებაც მოუხდა, რომ ივანიშვილთან რომ ვერ მოხერხდა დაახლოება, ეს რესპუბლიკელების ბრალი იყო, რადგან კოალიციაში შესვლა სწორედ რესპუბლიკელებმა ჩაუშალეს. ამით კი სამაგიერო გადაუხადეს იმის გამო, რომ თავის დროზე გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატების არჩევის დროს ბაღათურიამ ლევან გაჩეჩილაძეს დაუჭირა მხარი და არა დავით უსუფაშვილს, მეტიც, ბაღათურიამ კოკო გამსახურდიაც კი გადაიბირა, რომ ხმა მიეცა გაჩეჩილაძისთვის. რესპუბლიკელებმა წყენა არ დაივიწყეს.

შემოდგომაზე ეს პარლამენტი გადაწყვეტილებების მიღების მხრივ სრულიად უუნარო იქნებაო – ასეთ პროგნოზს აკეთებს ჯონდი ბაღათურია და ამაში ისევ და ისევ რესპუბლიკელებს ადანაშაულებს. უფრო ზუსტად ბაღათურია ვარაუდობს, რომ პარლამენტში ძალთა გადაჯგუფება მოხდება და პრემიერის წინააღმდეგ პირდაპირ თუ ვერ წავლენ და ვერ გადააყენებენ, გადაწყვეტილებებს მაინც დაბლოკავენ.

„შემოდგომაზე ეს პარლამენტი სრულიად არაადეკვატური გახდება, ზოგი ნათესავ-მეგობრების დასაქმებაზე ზრუნავს, რესპუბლიკელები საკუთარი პარტიის გაძლიერებაზე ზრუნავენ რეგიონებში, სხვები კი ფრანკენშტეინივით მკვდარი ნაცმოძრაობის გაცოცხლებას ცდილობენ“ – აცხადებს ბაღათურია.



ქართული დასის ლიდერი ეხმიანება აირაის ახალ კვლევებს, რომელშიც გამოკითხულთა 56% თურმე ნაცმოძრაობას ერთადერთ ძლიერ ოპოზიციურ ძალად მიიჩნევს, ბაღათურია ამ კვლევებს სამარცხვინოს უწოდებს. გამოკითხულთა 25% ჯერ კიდევ სააკაშვილს უჭერს მხარს და ამაზე ბაღათურია ამბობს, რომ ეს სიყალბეა და თუ ხალხი ასე ფიქრობს, მაშინ მას ასეთ სახელმწიფოში ცხოვრების შერცხვება.

ბაღათურია რაბათის ციხის ირგვლივ ატეხილ სკანდალს ეხმიანება და ამბობს, რომ თურქ-ოსმალებს საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს აუგიათ კულტურული ძეგლები, „მათ ამის თავი არ ჰქონდათ, ისინი განუწყვეტლივ ებრძოდნენ გმირ აჭარლებს და მესხებს. ეს ციხე სარწმუნოებით მუსლიმმა, მაგრამ ქართველმა ახმედ ფაშა ჯაყელმა ააშენა და არა თურქებმა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პირდაპირ ამბობს და არ მალავს, აჭარა და ბათუმი ჩვენი ტერიტორიააო“ – ამბობს ბაღათურია. დღეს ახალი და ძველი ხელისუფლება, ორივე ცდილობს ფეხქვეშ გაეგოს თურქებს და მათ ასიამოვნოს.

# საბაჟოზე არადეკლარირებული ძვირფასი ლითონები და ქვები აღმოაჩინეს

20 აპრილს, სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე, ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობების სამართალდარღვევის გზით შემოსვლის ფაქტები გამოვლინდა. კერძოდ, სომხეთიდან საქართველოში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ნომრით,“ვაზ 21 100“ტიპის მსუბუქი ავტომანქანა შემოვიდა, რომელსაც რუსეთის მოქალაქე ზ.გ. მართავდა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ეჭვის საფუძველზე, ავტომანქანის დეტალური დათვალიერების შედეგად, მანქანის წინა მარჯვენა სავარძლის ქვეშა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ, ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობები, საერთო წონით 208,53 გრამი აღმოაჩინეს.

არადეკლარირებული საქონლის ღირებულებამ, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 14066.20 ლარიშეადგინა. აღნიშნულ სამართალდარღვევის ფაქტზე საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი გაფორმდა და მოქალაქე ზ.გ.-ს სანქციის სახით 14066.20 ლარი შეეფარდა.

იმავე მანქანით, საქართველოში სომხეთიდან რუსეთის ფედერაციის კიდევ ერთი მოქალაქე ა.პ. შემოვიდა, რომელსაც ასევე აღმოაჩნდა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ, ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობები, საერთო წონით 81.65 გრამი. ნივთები საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მძღოლის სავარძლის ქვეშ, სათვალის ბორდოსფერ ბუდეში აღმოაჩინეს.

ა.პ.-ის კუთვნილი არადეკლარირებული საქონლის ღირებულებამ, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 3817,38 ლარი შეადგინა. აღნიშნულ სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და სანქციის სახით მოქალაქეს 3817,38 ლარი შეეფარდა.

**მედიანიუსი**

# მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას რეგიონული განვითარების მინისტრი დავით ნარმანია, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჭელიძე, დემოგრაფები, სტატისტიკოსები და გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე განიხილეს მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიური, ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხები. ასევე, დაზუსტდა აღწერასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.



როგორც შეხვედრის შემდეგ საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა, ზაზა ჭელიძემ განაცხადა, სამთავრობო კომისიის ფარგლებში შექმნილია რამდენიმე სამუშაო ჯგუფი. „ერთ-ერთი არის მეთოდოლოგიასა და კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც დღეს შეიკრიბა სამინისტროში. დემოგრაფებს, ექსპერტებს და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს კონკრეტულად გავაცანით აღწერის პროგრამა, ბიუჯეტი და ეტაპობრივად ყველა ის ღონისძიება, რომელიც ამ პერიოდში – დღეიდან მონაცემების გამოქვეყნებამდეა დაგეგმილი“, – განაცხადა ჭელიძემ.

„ჩვენი უახლოესი ამოცანაა, რომ ჩავატაროთ დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა, სადაც საუბარი გვექნება აღწერის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შემდგომ გაკეთდება დეტალური სამოქმედო გეგმა და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ღონისძიებები პარალელურ რეჟიმში განხორციელდება იმისათვის, რომ მოვასწროთ დროულად მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება“ – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ დავით ნარმანიამ.

როგორც ცნობილია, აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია, ხოლო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-დან 19 ნოემბრამდე პერიოდში ჩატარდება.

**მედიანიუსი**

# მარიამ საჯაია: „ნაცმოძრაობა რეიტინგის დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობს“

**თამარ ნინიძე**

საპარლამენტო უმცირესობის წევრი მარიამ საჯაია ბევრ კითხვაზე პასუხისთვის მზად არ აღმოჩნდა და დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ პრესკონფერენცია პრესკონფრენციისთვის გამართა და არა იმისათვის, რომ საზოგადოებისთვის რაღაც სიახლე ეუწყებინა.



აირაის კვლევების შესახებ იფორმაცია არ გააჩნდა, მაგრამ კომენტარი მაინც გააკეთა იმაზე, რომ თურმე გამოკიხთულთა 56%-ს ნაცმოძრაობა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ ძალად მიაჩნია, ამაზეა ნათქვამი, უბედურო საქართველოვ. საჯაია ხალისით საუბრობს იმაზე, რომ ეს მონაცემები სინამდვილეა და ნაცმოძრაობა რეიტინგის დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობს, მისი აზრით, ნაცმოძრაობას რეალური შანსები აქვს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ამის დასტურად მოჰყავს „მრავალათასიანი“ მიტინგი 19 აპრილს პარლამენტის შენობის წინ. მისი თქმით, როცა ბევრი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკიდან გაქრობას წინასწარმეტყველებდა, საპირისპირო მოხდა და ის განახლების პროცესს გადის, ეს არის, საჯაიას თქმით, იდეებზე დაფუძნებული პოლიტიკური ძალა, პატრიოტთა გაერთიანება, ოღონდ აქ საჯაიამ ის ვერ გვითხრა, რომელ პატრიოტებს გულისხმობს, სააკაშვილი ბუჩქებისკენ რომ მიერეკებოდა, იმათ ხომ არა.

ნეტარ არიან მორწმუნენიო, საჯაია იმედოვნებს, რომ პოლიტიკური რეალობა შეიცვლება ნაცმოძრაობის სასარგებლოდ და დღეის მდგომარეობით 8% ისევ 78%-ზე ავარდება, თუმცა საჯაიას ის აღარ განუმარტავს ჩვენთვის, რომ ის 78% ნაცმოძრაობამ ადრეც ძლიერ გაბერა. საჯაიამ არ იცის, რა ხდება მის მშობლიურ პარტიაში ან იცის და კეკლუცად მალავს ინფორმაციას, მან არ იცის, ვის განიხილავს ნაცმოძრაობის ელიტა საპრეზიდენტო კანდიდატად. სამაგიეროდ ნაცმოძრაობის გამარჯვების რეალურ შანსებზე საუბრობს.

# კახა კუკავა ნაძალადევის რაიონში ყველა მის კონკურენტ კანდიდატს დებატებში იწვევს

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ნაძალადევის რაიონში ყველა მის კონკურენტ მაჟორიტარობის კანდიდატს სატელევიზიო დებატებში იწვევს.

როგორც „პირველი რადიოს“ პრესკლუბში პარტიის ლიდერმა განაცხადა, ის ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ნაძალადევის რაიონში პირველადი მონაცემებით ლიდერობს. სწორედ აქედან გამომდინარე, დაიწყო მასსა და მისი პარტიის მიმართ „გამოგონილი სააგენტოებისა და ორლობე არხების მხრიდან“ ცილისმწამებლური განცხადებები და შეურაცხმყოფელი თავდასხმები.



„ნაძალადევის რაიონში რამდენიმე კანდიდატის პოზიციასთან დაკავშირებით ამომრჩეველში უსიამოვნი ხმები გავრცელდა. ამ ხმების დადასტურების ან უარყოფის საუკეთესო საშუალება პირდაპირი დებატებია. ამიტომ ყველა ტელემაუწყებელს მოვუწოდებ, დღესვე დაგეგმოს ასეთი დებატები და საზოგადოებას ეცნობოს, ვინ იყო თანახმა და ვინ არა. საქმე ისაა, რომ ცალკეული პოლიტიკური ძალები მხარს უჭერენ ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციას. მათ ეშინიათ დებატების, რადგან არ უნდათ აღიარება ნაძალადევის ამომრჩეველთან. ნაძალადევის რაიონში ერთადერთი კანდიდატი ვარ, რომელიც ვამბობ, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას. ასევე ჩვენ ვართ ერთადერთი პარტია, რომლებიც ღიად დაუპირისპირდა ევროპულ ქარტიას, რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ. ჩვენი კონკურენტები კი მხარს უჭერენ სომხური და აზერბაიჯანული ენების ოფიციალურ ენებად გამოცხადებას საქართველოს ორ რეგიონში. ამას გარდა, ჩვენი პარტია ღიად გამოდის ემიგრაციის შეზღუდვისა და უცხოელებზე მიწების მიყიდვის აკრძალვის მოთხოვნით, ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვისა და გარყვნის პროპაგანდის წინაალმდეგ“, – აღნიშნა კუკავამ და დასძინა, რომ სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ ნაძალადევის მოსახლეობას უფლება აქვს გაიგოს, ვინ არის ქვეყნის ინტერესების დამცველი და ნაციონალური მოძრაობის გასამართლების მომხრე.

კუკავა ასევე შეშფოთებას გამოთქვამს ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით.

მისი ინფორმაციით, 2012 წლის 1 ოქტომბრის ამომრჩეველთა სიები იდენტურია 27 აპრილი არჩევნებში მონაწილეთა სიებისა.

მისივე თქმით, პარტიის მონაცემებით, 2012 წლის 1 ოქტომბერს 12 000 ხმა გაყალბდა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ორმაგი პირადობის მოწმობებით. დღეს კი ეს ორმაგი პირადობები არავის გაუუქმებია და არც ის ამომრჩევლები არავის ამოუღია სიიდან.

კუკავა დაინტერესდა, თუ ვინ აპირებს 12 000 პირადობის მოწმობის გამოყენებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კი, ხვალ 11.00 საათზე, პარტია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდება, რომელსაც დაესწრებიან საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები.

კუკავამ ასევე განმარტა, რომ ბოლო პერიოდში ამოღებული მონაცემების თანახმად, „თავისუფალი საქართველო“ შუალედურ არჩევნებში მოიპოვებს 40 პროცენტს, რაც მოქმედი კანონმდებლობით საკმარისია პირველ ტურში გასამარჯვებლად.

ნაძალადევის რაიონში კუკავა ერთადერთ კონკურენტად თამარ კორძაიას აღიქვამს, ხოლო დანარჩენ კანდიდატებზე ამბობს, რომ მისთვის ხმის წართმევას ცდილობენ.

შეგახსენებთ, რომ შუალედური მაჟორიტარული არჩევნები 27 აპრილს გაიმართება.

**მედიანიუსი**

# დღეს წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება

დღეს, 12.00 საათზე საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება.

როგორც „მედიანიუს“ საპატრიარქოში განუცხადეს, სხდომას ტრადიციულად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უხელმძღვანელებს.

სხდომაზე განსახილველი საკითხები, როგორც ყოველთვის, წინასწარ არ ხმაურდება. სინოდის გადაწყვეტილებათა ოქმი სხდომის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება.

წმინდა სინოდის სხდომა წელიწადში ორჯერ იმართება.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილის გაცხადებული შიშები და დემოკრატიისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯები

**საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე, ყველაზე მძიმე პერიოდი უდგას. პოლიტიკური მოღვაწეობის ბოლოს მას დაუდგა დრო, როდესაც ძალიან დიდი ალბათობით, ის, თავის მიერ ჩადენილ ქმედებებზე პასუხს აგებს და ასეთ მომავალს ყველაზე კარგად რა თქმა უნდა თავად პრეზიდენტი გრძნობს.**

სწორედ ამით აიხსნება მის მიერ, ბოლო პერიოდში, ადექვატურობის ჩარჩოებიდან განსაკუთრებულად ხშირად გასვლა და მეტყველებაზე კონტროლის დაკარგვის გახშირება.

სანამ პროკურატურაში ან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, ყოფილი ჩინოვნიკების დაბარება-დაკითხვებს პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, სააკაშვილი ამაზე ნაკლებად ღელავდა, უფრო მეტიც, მაქსიმალურად ცდილობდა ყველა ეს ფაქტი, პიარის თვალსაზრისით სათავისოდ გამოეყენებინა და როგორც ქართველი საზოგადოებრიობის, ასევე მსოფლიო თანამეგობრობის თვალში წამებულის მანტია მოესხა და ამით პოლიტიკური ქულები ჩაეწერა.

დღეს კი, ვითარება აბსოლუტურად შეცვლილია და სამართალდამცველი ორგანოები და ახალი ხელისუფლება ისეთი თემებით დაინტერესდნენ, სადაც ძალიან დიდი ალბათობით შეიძლება მიხეილ სააკაშვილის მიერ არა მარტო საკუთარი ხალხის, არამედ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებიც გამოიკვეთოს. სწორედ ესაა რამაც პრეზიდენტს მოსვენება დაუკარგა და ეს ყველაფერი, მას ეკრანიდანაც კი, უკვე ძალიან კარგად ეტყობა.

ჟვანიას გარდაცვალების საქმე, 2008 წლის აგვისტოს ომი და 2011 წლის 26 მაისი, – ეს იმ ფაქტების არასრული ჩამონათვალია, რომელთა სრულყოფილმა და ობიექტურმა გამოძიებამაც ადვილი შესაძლებელია, რომ სააკაშვილს, მისთვის უკეთეს შემთხვევაში, გისოსებს მიღმა ამოაყოფინოს თავი.

როდესაც სააკაშვილის დაპატიმრებას მისთვის საუკეთესო ვარიანტს ვუწოდებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ბევრად უფრო უარესი ვარიანტიც – მისი ლიკვიდაცია, რომელიც შესაძლებელია მისმავე გარემოცვამ ან ყოფილმა უცხოელმა პარტნიორებმა მოახდინონ, რადგან მეკობრეების ფორმულა – „მკვდრები არ ლაპარაკობენ,“ დღესაც ძალაშია და მიხეილ სააკაშვილის მოცილებით, ძალიან ბევრი შეეცდება, რომ ყველა ცოდვა მას აჰკიდოს და საკუთარი თავი გადაირჩინოს.

ამ ვარაუდს ის ხმებიც აძლიერებს, რომელიც გასულ კვირაში გაჟღერდა და რომლის თანახმადაც სააკაშვილის ლიკვიდაციით დაინტერესებულ კონკრეტულ პიროვნებად ვანო მერაბიშვილი დასახელდა.

ვერსიას ამყარებს ისიც, რომ, როგორც ამბობენ და როგორც ბოლო ფაქტების ანალიზიდან ეს აშკარად იკვეთება, – მერაბიშვილსა და სააკაშვილს შორის არათუ შავ კატას, არამედ კატისებრთა ოჯახის უფრო დიდ წარმომადგენელს აქვს გარბენილი, რადგან ეს ორი პიროვნება, ერთმანეთს აშკარად ველარ იტანს და ეს ყველაფერი სავარაუდოდ, თავს ღიად არცთუ შორეულ მომავალში იჩენს, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

მანამ კი გასული კვირის იმ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რასაც 19 აპრილი ჰქვია და რაც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ რექვიემად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან 19 აპრილმა აშკარად აჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი ჯგუფი საზოგადოებისგან აშკარად უარყოფილია, ხოლო მათი მცდელობა, რომ საზოგადოებრივი აზრი სათავისოდ შემოაბრუნონ, რასაც ისინი ტრადიციულად თავიანთი ბინძური პიარის მეშვეობით ცდილობენ, – საზოგადოებაში უკუეფექტს იწვევს და მასზე ისე მოქმედებს, როგორც წითელი ნაჭერი ხარზე.



მიუხედავად იმისა, რომ 19 აპრილის აქცია ვანო მერაბიშვილმა დაახლოებით ორი თვით ადრე დააანონსა და სააკაშვილის მეხოტბე მედიასაშუალებები აქტიურად ცდილობდნენ ამ აქციის მასშტაბების გასაზრდელად პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენებას, შეიძლება ითქვას, რომ 19-მა აპრილმა როგორც ქართველ საზოგადოებას, ასევე საერთაშორისო საზოგადოებას და პირველ რიგში თავად „ნაციონალურ მოძრაობას,“ დაანახა, რომ მათი დრო საქართველოში დასრულდა.

თავხედობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება პრეზიდენტის მიერ აქციაზე გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმადაც მისი მხარდამჭერების მიმართ ახალი ხელისუფლება ძალადობით, ხელების ამოგრეხვით და შეურაცყოფითაა დაკავებული. მიხეილ სააკაშვილს უჩევნია გაიხსენოს რა მეთოდებს მიმართავდა თავად, რომ მის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად რეგიონებიდან ხალხის ჩამოსვლა შეჩერებინა. სავარაუდოდ მას ამის გახსენება ადრე თუ გვიან, დაკითხვაზე აუცილებლად მოუწევს.

ხოლო რაც შეეხება აქციის ჩატარებასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ის ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ რეალური დემოკრატიისკენ გადადგმულ რეალურ ნაბიჯებად, რომელიც იმედია ქვეყანაში ახალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქართველი საზოგადოება ბოლო წლების განმავლობაში შეეჩვია, ქუჩის ყველა აქცია, როგორც წესი პოლიტიზირებული პოლიციის მიერ, უსასტიკესი დარბევით და დაპატიმრებებით სრულდებოდა და შესაბამისად, 19 აპრილის აქციის დროსაც, შინაგან საქმეთა სამინისტრო არგუსის თვალის ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა პოლიციამ ეს გამოცდა ღირსეულად ჩააბარა, რაც მერაბიშვილის დროს პოლიციის მიმართ დაკარგული ნდობის აღდგენის საქმეშიც წინ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ამ კუთხით აშკარად თვალშისაცემი და მოულოდნელი იყო, ეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, აქციის მონაწილეთა მანქანების პარკირებისთვის ადგილების გამოყოფაა. ყველა ყველა და ვანო მერაბიშვილს ნამდვილად შეუძლია გაიხსენოს, რომ მის დროს, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელ ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანებს აბსოლუტურად უკანონოდართმევდნენ მართვის მოწმობებს, ასევე ყაჩაღურად ართმევდნენ ავტომანქანებს, ხოლო მერაბიშვილის კანტორის ბიჭები, ოპოზიციურად განწყობილი პირების მანქანებს ლამის ევაკუატორებით დასდევდნენ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქციის მონაწილეთა მანქანებისთვის პარკირების ადგილის გამოყოფა ყოველგვარ მოლოდინს გასცდა, ხოლო რაც შეეხება პარალელს თავად ამ უწყების ყოფილი და მოქმედი პირველი პირების საქციელის შესახებ, განსხვავება აქაც უდიდესია.

თუ ვანო მერაბიშვილი აქციის ადგილზე მხოლოდ მიტინგის უსასტიკესი დარბევის შემდეგ ცხვირზე ნიღაბაფარებული ჩნდებოდა, ირაკლი ღარიბაშვილი, იმ მიზნით რომ აქციაზე ნებისმიერი ექსცესი გამორიცხულიყო, ღონისძიების დაწყებამდე უსაფრთხოების ზომების გატარების პროცესს თავად ადგილზე ხელმძღვანელობდა.

ასე, რომ საზოგადოების თვალში, სააკაშვილსა და მერაბიშვილს, ახალმა ხელისუფლებამ ამ კუთხითაც სუფთად მოუგო.

რაც შეეხება ხალხის რაოდენობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ აქცია ორი თვით ადრე დაანონსდა და აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიის თანამშრომლები აქციისთვის მაქსიმალურად იყვნენ მობილიზებულნი, – მისმა მასშტაბებმა აშკარად აჩვენა, რომ სააკაშვილს მხარდამჭერთა მიტინგი თავისუფლად შეეძლო თავისი რეზიდენციის საკონფერენციო დარბაზში ჩაეტარებინა. ასევე ყველა წინაპირობაა იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგი აქცია, თუ ასეთი რამ საერთოდ ოდესმე კიდევ ჩატარდება, თავისი მასშტაბებით იმის ნახევარიც აღარ იქნება, რაც 19 აპრილს იყო. ამას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი თავად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის არსებული განხეთქილება, დაპირისპირება და თავის გადასარჩენად დაწყებული ინდივიდუალური ქმედებებია.

რომ აღარაფერი ვთქვათ დათა ახალაიას ცნობილ წერილზე, რომელიც მან სოციალური ქსელების მეშვეობით გამოაქვეყნა, აგრეთვე რომ აღარაფერი ვთქვათ მარიკა ვერულაშვილის მიერ წინა კვირაში გაკეთებულ ასევე ცნობილ სკანდალურ განცხადებებზე, – უკვე აშკარა და თვალშისაცემია, რომ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი ერთმანეთს მაგნიტის პოლუსებივით განიზიდავენ, რისი მკაფიო დასტურიც 19 აპრილის აქცია იყო.

საკმაოდ საფუძვლიანია ვარაუდი და ვერსია, რომლის თანახმადაც, ვანო მერაბიშვილი 19 აპრილის აქციას საკუთარი რეაბილიტაციისთვის გეგმავდა და მას ამ ჩანაფიქრში, აქციაზე მისვლით, ხელი მიხეილ სააკაშვილმა შეუშალა, რომელიც როგორც აქციის წინა დღეებში ცხადდებოდა, რუსთაველის გამზირზე მისვლას საერთოდ არ აპირებდა, ხოლო როდესაც ის აქციაზე სიტყვით გამოვიდა, მერაბიშვილმა ტერიტორია დატოვა.

ფაქტია, რომ ყოფილი ხელისუფლების პირველ პირებს შორის დაძაბულობა და ეჭვიანობა უკვე პიკს აღწევს და როგორც ეს ზემოთ ვივარაუდეთ, ის საკმაოდ ახლო მომავალში იჩენს ღიად თავს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თავად აქციის მთავარი მესიჯი, რომლის თანახმადაც, ყოფილმა ხელისუფლებამ ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს მესიჯი მთლიანად აქციას წითელ ზოლად გასდევდა, ხალხმა ყველაზე ნაკლებად თუ რამე დაიჯერა, ეს სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებაა იმ პოლიტიკური ძალის მიერ, რომელიც თავისი არსებობის 9 წლის მანძილზე, ყველაფერ ეროვნულს ებრძოდა. ასე, რომ, თუ თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილის მიერ, თავისი პარტიისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ დარქმევამ მას პოზიტივი ნამდვილად მოუტანა, რაც ერთადერთი მიზეზით – საზოგადოების მაშინდელი გულუბრყვილობით შეიძლება აიხსნას, დღეს, ეროვნული პათოსით გაღჟენთილი ფრაზებით მანიპულირება მას შედეგს აღარ მისცემს ვინაიდან ამავე საზოგადოებამ უკვე საკუთარ შეცდომაზე ისწავლა.

შეუძლებელია, რომ ამას თავად მიხეილ სააკაშვილი არ აცნობიერებდეს, მაგრამ მას სხვანაირად მოქცევა, ელემენტარულად აღარც შეუძლია, ვინაიდან უკან დასახევი ყველა გზა, გასული 9 წლის განმავლობაში თავადვე მოიჭრა.

სწორედ ესაა მიზეზი, რაც პრეზიდენტს ყველაზე მეტად აშინებს და პრაქტიკულად არა მარტო მისი, არამედ მისი გუნდის მიერ ჩადენილი დანაშაულების წინაშე აბსოლუტურად მარტოს სტოვებს.

რაც შეეხება სათაურში ნახსენებ შიშებს, რომლის დამალვაც მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკას უკვე აღარ ძალუძს, ეს პასუხისგების შიშია. არის საკმაოდ დიდი შანსი, რომ სააკაშვილმა პასუხი აგოს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის და ეს დანაშაული არ შეიძლება ასოცირდებოდეს მხოლოდ 2008 წლის ომთან, ვინაიდან სწორედ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს 2011 წლის 26 მაისიც, რომელიც მსხვერპლით დასრულდა და რომელიც თავისი სისასტიკით, 1989 წლის 9 აპრილს, როდიონოვის სადამსჯელო რაზმის ქმედებას ბევრად აღემატებოდა, რადგან 1989 წლის 9 აპრილს, ხალხს ალესილი ნიჩბებით შეიარაღებული სისხლისმსმელი ბანდა მხოლოდ ერთი მხრიდან უტევდა, ხოლო მერაბიშვილის ზონდერებმა, სანამ ხალხზე იერიშს დაიწყებდნენ, მანამ მათ სამმაგი ალყა შემოარტყეს.

გარდა კონკრეტული დანაშაულების გამოძიებისა, მიხეილ სააკაშვილის მიერ ბოლო გამოსვლებში, აშკარად გამოიკვეთა შიშები კონკრეტული პიროვნებებისა და პოლიტიკოსების

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# დავით სერგიენკო: „მეანაბრეებისთვის ცარიელი დაპირებების წინააღმდეგი ვარ“

საბჭოთა ანაბრები დღემდე რჩება ქვეყნის გადაუხდელ შიდა ვალად. ვალი რომ არის და თანაც გადასახდელი, ამას არცერთი ხელისუფლება უარყოფს, არც ძველი და არც ახალი. რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს, ძველები ამბობენ, რომ ვერ მოასწრეს, ახლები კი მეთოდებზე ფიქრობენ, მაგრამ აცხადებენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს უახლოეს წლებში ვერ მოხდება.

2012 წლის 12 დეკემბერს გამოვიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №463 „საქართველოს სახელმწიფო საშინაოვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15ნოემბრის №108 დადგენილებაში ცვლილების შეტანისთაობაზე. დადგენილებას ხელს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აწერს,

აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ: „ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალურ აუდიტორს, ქალაქ თბილისის მერს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორს, რომ წევრის სტატუსით მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში.კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 1 იანვრამდე.“.

აღნიშნულ კომისიას მუშაობა ანაბრების თემაზეც მოუხდება, რადგან მისი ნაწილი ქვეყანას შიდა ვალად აქვს აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ გასტუმრების ვალდებულებაც ეკისრება

ამას არც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები უარყოფენ „გურია ნიუსთან“ საუბრისას. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე აცხადებს, რომ ანაბრების გასტუმრებაზე მთავრობამ უნდა იფიქროს“



„პირდაპირ გეტყვით, პარლამენტში ეგ საკითხი ჯერჯერობით არ არის შემოსული და მაგ კუთხით ჩვენ არ ვმუშაობთ. ბუნებრივია, ამაზე უფრო აქტიურად მუშაობს მთავრობა და მსჯელობენ იმაზე, რისი საშუალებაა, რომ მოხდეს ამ ვალის გასტუმრება.

მოგეხსენებათ, მუდმივად არის იმაზე საუბარი, რომ საბჭოთა ანაბრები მთლიანად შიდა ვალში უნდა აიღოს ხელისუფლებამ და შესაბამისად, მერე გამოძებნოს საშუალება, რომ ეტაპობრივად მოხდეს მისი გასტუმრება. ასეც უნდა მოხდეს. შესაბამისად, როგორ და რანაირად განხორციელება, ეს მთავრობის საფიქრალი და გადასაწყვეტია“, – ამბობს საგანელიძე

რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით თავად მთავრობის წევრები, ამასთან დაკავშირებით „გურია ნიუსმა“ კომენტარის გაკეთება ჯანდაცვის მინისტრს, დავით სერგეენკოს თხოვა.

– ბატონო დავით, საბჭოთა ანაბრების თემა ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა. საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ მთავრობამ ამ საკითხის შესწავლა უნდა დაიწყოს. გარკვეულწილად, ეს თემა მიბმულია იმბენეფიციარებთან, რომლებიც თქვენს სამინისტროსთან არიან პირდაპირ კავშირში, მაგალითად, პენსიონერები, სოციალურად დაუცველები, რომლებმაც, თავის დროზე საარსებო წყარო დაკარგეს ანაბრების სახით. თქვენი მოსაზრება როგორია ამ საკითხზე?

– ჩემი აზრი ის არის, რომ ადამიანებს არ უნდა დაჰპირდე იმას, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი მიბმულია ბიუჯეტზე, რომელიც, მოგეხსენებათ, უთვლავი არ არის. მე ვფიქრობ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია იმ პროცესის დაწყება საბჭოთა ანაბრებთან დაკავშირებით, რასაც ჰქვია მეთოდოლოგიის შემუშავება და მომზადება. კი არ უნდა უთხრა, აბა მობრძანდით, ფული უნდა დაგირიგოთო, არამედ შესწავლილი, დათვლილი და გადამოწმებული უნდა იქნას ყველაფერი და როგორც კი გამოჩნდება ამის ბიუჯეტური შესაძლებლობები, დაიწყოს პროექტის რეალიზაცია. ეს აბსოლუტურად რეალურად მიმაჩნია. თუ ეს მოხდება, იქნება სამართლიანი, მაგრამ უნდა გაკეთდეს სწორად. ცარიელი დაპირებების წინააღმდეგი ვარ.

– თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო...

– დიახ, ვიცი და სწორედ მაგიტომ გეუბნებით, რომ მხოლოდ დაპირებების წინააღმდეგი ვარ. აქ საჭიროა საკითხის ძირეულად შესწავლა.

– საბჭოთა ანაბრები სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა. ექსპერტები ამბობენ, რომ თუ ხელისუფლება პასუხისმგებლიანია, მაშინ ეს ვალი უნდა გაისტუმროს.

– სწორედ მაგას ვამბობ მეც. ეს ნამდვილად გასაკეთებელია, მაგრამ უნდა მოხდეს სწორად და ისე არ უნდა დაიწყო, რომ ყველაფერი არ დათვალო.

„გურიანიუსი“

# წიგნის დღე წიგნის გარეშე ჩაივლის

ეკა ირემაშვილი

23 აპრილი მთელ მსოფლიოში წიგნის საერთაშორისო დღეა. საქართველოში ამ დღეს გამომცემლები საპროტესტო აქციებით აღნიშნავენ და წიგნის მაღაზიებთან ერთად განათლების მინისტრის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლითაც, მათი თქმით, გამომცემლებს საკუთრების უფლება ეზღუდებათ.

ქართველმა გამომცემლებმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს, სადაც იმ პრობლემებსა და საფრთხეებზე ისაუბრეს, რომელიც განათლების სამინისტროს ახალ ინიციატივას მოყვება. მათი თქმით, გამომცემლების პროტესტი განათლების სამინისტროსა და გამომცემლებს შორის დადებული ხელშეკრულების იმ მუხლის ამოქმედებას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც სამინისტროს „განსაკუთრებული საზოგადოებრივი საჭიროების“ შემთხვევაში უფლება აქვს გამომცემელს სახელმძღვანელოს ლიცენზია ჩამოართვას და წიგნი მის გარეშე დაბეჭდოს. ამ შემთხვევაში გამომცემლები ტირაჟის მხოლოდ 10%-ს მიიღებენ.

„წიგნის დღე წიგნის გარეშე“ – ასეთია საპროტესტო აქციის ლოზუნგი. როგორც გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელმა თამარ ლებანიძემ განაცხადა, 23 აპრილს წიგნის საერთაშორისო დღეს საქართველოში წიგნების მაღაზიების დიდი ნაწილი არ გაიხსნება.

– ქართველი გამომცემლები განათლების სამინისტროს იმ გადაწყვეტილებას ვაპროტესტებთ, რომლის მიხედვითაც, სასკოლო სახელმძღვანელოები უფასო იქნება. განათლების სამინისტროს ინიციატივა ხელყოფს ავტორებისა და გამომცემლების საკუთრების უფლებას და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლს. ჩვენ უკვე მივმართეთ საჩივრით საქართველოს მთავრობას და პრემიერ-მინისტრს. იმ შემთხვევაში, თუ ახალი ინიციატივა არ გადაიხედა, გამომცემლები ვაპირებთ მივმართოთ სამართლებრივ ნორმებს, გამომცემლებისა და ავტორების უფლებების დასაცავად, – აღნიშნა თამარ ლებანიძემ.

გამომცემლების პროტესტს შეუერთდნენ მეცნიერები და მწერლებიც. მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს, სადაც სოლიდარობას უცხადებენ სასკოლო სახელმძღვანელოების ქართველ გამომცემლებს. როგორც წერილშია აღნიშნული, მეცნიერები და მწერლები მიესალმებიან განათლების სამინისტროს ინიციატივას სასკოლო სახელმძღვანელობის უფასოდ დარიგების შესახებ, თუმცა, აცხადებენ, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად დააზარალებს არამარტო გამომცემლებს, არამედ მეცნიერებსაც, რომელთა პროექტებსაც ხშირ შემთხვევაში სწორედ დამოუკიდებელი გამომცემლები აფინანსებენ.

მეცნიერებისა და მწერლების ნაწილისთვის მიუღებელია გამომცემლობებსა და განათლების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების იმ მუხლის ამოქმედება, რომლის მიხედვითაც სამინისტროს „განსაკუთრებული საზოგადოებრივი საჭიროების“ შემთხვევაში უფლება აქვს გამომცემელს სახელმძღვანელოს ლიცენზია ჩამოართვას და წიგნი მის გარეშე დაბეჭდოს. ამ შემთხვევაში გამომცემლები ტირაჟის მხოლოდ 10%-ს მიიღებენ, რაც, გამომცემლების განცხადებით, მნიშვნელოვან ზარალს მოუტანს.

„მნიშვნელოვანია სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთა საკითხიც, რომელთა მოტივაცია რამდენიმე ათეულჯერ შემცირებული ჰონორარების პირობებში მნიშვნელოვნად დაეცემა და შესაბამისად, დაეცემა კონკურენტული გარემო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში, რაც უდაოდ აისახება შესაბამისი სასწავლო რესურსების ხარისხზე. მოგიწოდებთ, დაფიქრდეთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია კერძო ბიზნესი ქვეყნის განვითარებისთვის და რა დიდ როლს თამაშობენ დამოუკიდებელი გამომცემლები განათლების, კულტურისა და მწერლობისთვის. ვთხოვთ მინისტრს, კიდევ ერთხელ გადახედოს აღნიშნულ საკითხს და ყველა პრობლემა გადაწყდეს დაინტერესებულ მხარეთა მოლაპარაკების გზით, – აღნიშნულია მწერალთა და მეცნიერთა საგანგებო განცხადებაში.

ამ განცხადებას ხელს აწერენ ბესიკ ხარანაული, თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, ბაჩანა ბრეგვაძე, როსტომ ჩხეიძე, გივი შაჰნაზარი, მაკა ჯოხაძე, რეზო კვესილავა, ირაკლი სამსონაძე, ნინო სადღობელაშვილი, ასევე მეცნიერები ავთანდილ არაბული, ნომადი ბართაია, შალვა გლოველი, რუსუდან დაუშვილი, ლალი ეზუგბაია, გოგი კაციტაძე, დოდონა კიზირია, ანა კლდიაშვილი, მირიან მახარაძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, დავით მუსხელიშვილი, გიორგი სანიკიძე, დავით ხოშტარია, თამაზ ჯოლოგუა და სხვები.

მეცნიერებს, მწერლებსა და გამომცემლობებს წიგნის საერთაშორისო დღეს დაახლოებით 50 წიგნის მაღაზია შეუერთდება და 23 აპრილს გამომცემლობებისადმი სოლიდარობას ნიშნად მთელი დღის განმავლობაში წიგნებს არ გაყიდის. პრესკონფერენციაზე არ დასახელებულა კონკრეტული წიგნის მაღაზიები, რადგან გამომცემელთა თქმით, სხვადასხვა უწყებები, სავარაუდოდ, განათლების სამინისტროც, მაღაზიებზე ზეწოლას ახორციელებენ.

გამომცემლების ნაწილი საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას რამდენიმე გზით აპირებს. მათი თქმით, ბრძოლის ერთ-ერთი გზა სასამართლო იქნება. იურისტებთან კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს და სარჩელიც მზადდება. დაიგეგმა ასევე მომზადდეს წერილი „საერთაშორისო გამომცემელთა ასოციაციისთვის“, რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოში არსებული გამომცემელთა ასოციაციები და რომლის წევრიც არის საქართველო. ქართველი გამომცემლების სურვილია, ასოციაციას დახმარების თხოვნით მიმართონ და შეატყობინონ, რომ საქართველოში გამომცემლების ინტელექტუალური საკუთრებას საფრთხე ემუქრება.

– მივწერთ, რომ განათლების სამინისტრო აპირებს ჩვენი ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფას. ისინი ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობენ, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა, – აცხადებს „ლოგოს-პრესის“ ხელმძღვანელი ლაშა ბერაია.

მისივე თქმით, საერთაშორისო ასოციაციას მთავრობებთან მუშაობის სერიოზული ბერკეტები აქვს, ამიტომ გამომცემლებს იმედი აქვთ, რომ ეს მიმართვა დაეხმარებათ.

– საქართველოს „გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ წერილით მიმართავს სტამბებსაც და გააფრთხილებს, რომ თუ ისინი დაიწყებენ მუშაობას ხელშეკრულებების გარეშე, რისი მითითებაც სამინისტროსგან უკვე აქვთ, გამომცემლები მათაც სასამართლოში უჩივლებენ. გამომცემლები ვაპროტესტებთ განათლების სამინისტროს მიერ გრიფირების წესში არსებული იმ მუხლის ამოქმედებას, რომლის მიხედვითაც სამინისტროს უფლება აქვს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან“ გამომდინარე გამომცემელს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამოყენების უფლება ჩამოართვას და ის გადასცეს სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ამ შემთხვევაში სტამბას დასაბეჭდად. შედეგად გამომცემელი ტირაჟის ღირებულების მხოლოდ 10%-ს მიიღებს. გრიფირების წესში არსებული ცვლილების ამოქმედებას სამინისტრო იმ პროექტის ფარგლებში გეგმავს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მასშტაბით მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდებათ, – განმარტავს ლაშა ბერაია.

თავის მხრივ, განათლების სამინისტრო კანონში მითითებულ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“ მიიჩნევს ქვეყანაში არსებულ სოციალურ ვითარებას და აცხადებს, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სახელმძღვანელოების შეძენის შესაძლებლობა არ აქვს. მათივე თქმით, განათლების სამინისტროს წიგნების დარიგება მხოლოდ 12 მილიონი უჯდება, მაშინ, როდესაც მშობლები საქართველოს მასშტაბით წელიწადში 100 მილიონ ლარს სახელმძღვანელოებში ხარჯავდნენ.

წიგნების ავტორების მეორე ნაწილთან მოლაპარაკებებს განათლების სამინისტრო აწარმოებს. გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრმა ავტორებს შესთავაზა სამომავლო თანამშრომლობა დაწესებულებებთან,



რომლებსაც სამინისტრო შექმნის. არსებული ინფორმაციით, სამინისტრო ავტორებისგან მხოლოდ ტექსტს მიიღებს, დაკაბადონებაზე, მხატვრობასა და ილუსტრირებაზე კი თავად იზრუნებს.

სანამ ეს საკითხები მოგვარდება, 23 აპრილის საპროტესტო აქციის ლოზუნგი ასე ჟღერს: – წიგნის დღე წიგნის გარეშე! 2013 წლის 23 აპრილი. წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე. სოლიდარობა გამომცემლებს! – ეს მოწოდება ყველა იმ მაღაზიაში გაიკვრება, რომელიც პროტესტის ნიშნად 23 აპრილს არ იმუშავებს.

ლაშა ბერაია, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“:

– ამუშავდა მუხლი ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულია ერთი მხრივ გამომცემლებსა და მეორე მხრივ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს შორის. ამ ხელშეკრულებაში არის ერთი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს აქვს უფლება შეზღუდოს ჩვენი ინტელექტუალური საკუთრების უფლება. როგორც იურისტებთან კონსულტაციებით ჩვენ გავარკვიეთ, ამ მუხლის ამუშავება არის არამართლზომიერი და თვითონ ეს მუხლიც არის მცდარი და მისი გააზრებაც არის მცდარი.

– რას გულისხმობთ?

– ჩვენ ველარ ვახერხებთ ავტორებისთვის მათი კუთვნილი ჰონორარების გადახდას, იმ ჰონორარებისა, რომელსაც ისინი ელოდნენ წელსაც და კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში, ასევე ვერ ვახერხებთ ჩვენს მიერ ჩადებული საინვესტიციო ხარჯების ამოღებას.

თამარ ლებანიძე, გამომცემლობა „დიოგენე“:

– ჩვენ გადავწყვიტეთ ვიმოქმედოთ აქციების მეთოდითაც, რათა საზოგადოებას ვაგრძნობინოთ პრობლემების მნიშვნელოვნება არა მარტო გამომცემლობებისთვის, არამედ ზოგადად ქართული ბიზნესისთვის. ერთ-ერთი აქცია გახლავთ 23 აპრილს დაგეგმილი „წიგნის დღე წიგნის გარეშე“. 23 აპრილი მთელ მსოფლიოში აღინიშნება როგორც წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროფესიული დღესასწაული, ეს გახლავთ არა მარტო გამომცემლების დღესასწაული, არამედ წიგნის მაღაზიების, წიგნის მკითხველების დღესასწაული. წლების განმავლობაში, ჩვენ, ქართველი გამომცემლები ვზრუნავდით იმაზე, რომ ამ დღეს მართლაც სადღესასწაულო განწყობა ყოფილიყო, თავისი ფასდაკლებებით, განსაკუთრებული აქციებით და ა.შ. წელს 23 აპრილს საქართველოში წიგნის მაღაზიების უმეტესობა არ იმუშავებს! ძალიან ვწუხვარ, რომ ამ დღეს ასეთი აქციის ჩატარება გვიწევს, მაგრამ ეს არის გარდაუვალი ღონისძიება, რადგან საჭიროდ მივიჩნიეთ, მივიქციოთ საზოგადოების ყურადღება. წიგნის მაღაზიებმა გამოგვიცხადეს სოლიდარობა და ეს მგონია, რომ ყველასთვის გასაგებია რატომაც. წიგნის მაღაზიების არსებობა დამოკიდებულია ქართველი გამომცემლებისა და ავტორების არსებობაზე.

თამთა ივანიშვილი, იურისტი:

– განათლების სამინისტრომ მართლაც უხეშად დაარღვია გამომცემელთა ინტელექტუალური საკუთრების უფლება და დააწესა მონოპოლია სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვაზე, რაც ძალიან საშიში პრეცედენტია. ეს მუხლი ხელშეკრულებაში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● სიმაღლეში ზრდის ეფექტური, სწრაფი პროგრამა კურსით 3-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკიანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში, უვნებლად. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. გვაქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 234-02-38; 599-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი.

● ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები, გვჭირდება უმაღლესგანათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, მუშაობის უფლებით 98 ქვეყანაში. საუკეთესო მენეჯერებს ეძლევათ უფლება, უფასოდ იმოგზაურონ ტრენინგებისათვის. ანაზღაურება მაღალი, სტაბილური, მზარდი. გვაქვს 33-წლიანი წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 247-58-83, 577-29-37-41 დიმიტრი.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი: ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის პრობლემების მოგვარება, გასტრიტის, კოლიტი (მშრალი და სველი), დისბაქტერიოზი, ასევე იმპოტენციის, შარდის პრობლემების (შეკავება-შეუკავებლობა, ხშირი შარდვა), წვა, ქავილი, უშვილობა, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზე), უნებლიე შარდვა (ასაკოვანებშიც და ბავშვებშიც), გაჯანსაღება ხდება 100%-იანი მცენარეული პრეპარატებით, ანონიმურობით, უკუჩვენება ნულია. მიიღებიან ქალებიც. გამოცდილი სპეციალისტი ქალბატონი ქეთი. ტელ: 0570-90-63-45 (ზარი უფასოა), 577-29-37-41.

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ჯოკოვიჩმა ნადალი თიხაზე დაამარცხა

მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა მონტე კარლოს მასტერსის ფინალში რაფაელ ნადალს ორ სეტში (6:2, 7:6) სძლია და ესპანელის 8-წლიანი ჰეგემონია დაასრულა. რაფას ამ ტურნირზე ზედიზედ 46 შეხვედრა და 8 ტიტული ჰქონდა მოგებული. 2009 და 2012 წლებში ნადალმა ფინალში სწორედ ჯოკოვიჩს სძლია.

– ორი კვირის წინ ვინმეს რომ ეთქვა ამ ტურნირს მოიგებო, არ დავუჯერებდი, ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ, – განაცხადა 25 წლის სერბმა, რომელმაც კარიერაში 37-ე ტიტული მოიპოვა. სერბი და ესპანელი ფინალებში მეთექვსმეტედ შეხვდნენ ერთმანეთს. ჯოკოვიჩმა ანგარიში გაათანაბრა – 8:8. საგულისხმოა, რომ ნადალს მეტოქესთან აქამდე ზედიზედ სამი ფინალი მოეგო, მათ შორის როლან გაროს შარშანდელი გადამწყვეტი მატჩი.

– საფრანგეთის ღია პირველობის მოგება ახლა ჩემი მთავარი მიზანია. ძალიან მინდა როლან გაროს კორტებზე გამარჯვება და ვცდები მიზანს წელსვე მივაღწიო, – დასძინა ჯოკოვიჩმა.

თუ სერბმა წლის მეორე უმაღლესი კატეგორიის ტურნირი მოიგო, კონკურენტების, რაფაელ ნადალის და როჯერ ფედერერის მიღწევას გაიმეორებს – კარიერის მანძილზე დიდი მუზარადის სერიის ოთხივე ტურნირი ექნება მოგებული.

ცნობისათვის: 1968 წელს მონტე კარლოს ტურნირი ყველა დროის საუკეთესო ქართველმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმაც მოიგო, თუმცა წყვილთა შორის. მან და სერგეი ლიხაჩოვმა ფინალში ფრანგები პატრის ბოსტი და დანიელ კონტე დაამარცხეს – 5:7, 9:7, 6:4, 5:7, 7:5. იმ წელს მთავარი პრიზი წყვილებში პირველად გათამაშდა.

# გიგა ბეჟვაია: რისთვისაც დავისაჯე, ნუღარ მახსენებენ

2011 წელს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ საზოგადოებას ჩაწყობილ მატჩებში მხილებული და დაკავებული 5 მოთამაშის შესახებ ამცნო.

ამ საქმეზე კუდ-ის (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი) თანამშრომლებმა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ფეხბურთელები: სპარტაკ გოგია, კახა კირთაძე (ორივე სამტრედია), ლევან ვართაგავა, როინ ონიანი (ორივე ბაია) და გიგა ბეჟვაია (ვიტ-ჯორჯია) დააკავეს.

კუდ-ის თანამშრომლების მოხსენებების მიხედვით, ეს ფეხბურთელები სისტემატურად შედიოდნენ კორუფციულ გარიგებაში ტოტალიზატორის შავი ბიზნესის წარმომადგენელთან, დავით გაბედავასთან და დიდი ოდენობის თანხის სანაცვლოდ წინასწარ ხელოვნურად განსაზღვრავდნენ თამაშის შედეგებს.

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ამ ხუთეულს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა, მაგრამ სიჭინავამ 2012 წლის 4 იანვარს გადაწყვეტილება გააუქმა და მათ ამნისტია გამოუცხადა.

ეს ფაქტები რამდენიმე დღის წინ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტმა, რომან ფიფიამ გაიხსენა და ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა – ფეხბურთელს მაქინაციებისთვის იჭერ, მერე უშვებ და საკუთარ კლუბში ასაქმებ, ყოველივე ამას განა რაიმე კომენტარი სჭირდება?

სწორედ ამ სიტყვებით იწყება ინტერვიუ გიგა ბეჟვაიასთან, რომელიც გორის „დილას" ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ლელო ფინალშია და მეტოქეს ელოდება

**არმია – ლელო 16:24**

**არმია:** 15.კობახიძე, 14.ტუჩაშვილი, 13.ჯიმშელაძე (გაგოშვილი), 12.ჩხიკვაძე, 11.გოგოლაშვილი (ვ.გაბროშვილი), 10.ნინიძე, 9.ჯინაშვილი; 1.კაკოვინი (ქორიძე), 2.მამუკაშვილი (მეკოკიშვილი), 3.გურგენიძე (დონაძე), 4.სურგულაძე, 5.აზალაძე, 6.თხილაიშვილი (არჩუაშვილი), 7.ბიწაძე, 8.ბუჯიაშვილი

**1 ლელო:** ნინიძე

1 გარდასახვა: კობახიძე

**3 ჯარიმა:** კობახიძე

ლელო: 15.ყიასაშვილი, 14.გეგენავა, 13.გუგავა, 12.ცერცვაძე, 11.ნიჟარაძე, 10.ხმალაძე, 9.კაჭარავა; 1.გოგიშვილი, 2.ბელქანია, 3.პატარაია, 4.ჭეიშვილი (ნიკოლაიშვილი), 5.ქოიავა, 6.სურგულაძე, 7.დარასელია (მძინარიშვილი), 8.ჭყოიძე

**2 ლელო:** ბელქანია, გეგენავა

**1 გარდასახვა:** ყიასაშვილი

**4 ჯარიმა:** ყიასაშვილი

რეგულარული სეზონის მომგები „არმია" ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ მეტოქემ შესანიშნავი მეორე ტაიმი ჩაატარა და „ლელო" ფინალში დამსახურებულად გავიდა.

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ არმიელების მოგება თითქმის გარანტირებული ჩანდა. მატჩის დებიუტშივე ნაკრების წევრი, ირაკლი ყიასაშვილი შეცდა, ბურთი ირაკლი ჩხიკვაძემ მოიხელთა და მამუკა ნინიძეს ისეთი პასი მისცა, რომ უპრობლემოდ დადო ბურთი ძელებს შუა. ბახვა კობახიძემ იოლი გარდასახვა კიდევ 2 ქულად აქცია – 7:0.

ამის შემდეგ ინიციატივა „ლელოს" მხარეს გადავიდა, მაგრამ რამდენიმე შეტევა გაანიავეს. ეს ძირითადად ამინდის ბრალი იყო, რადგან მატჩი წვიმაში მიმდინარეობდა.

თუმცა, მე-20 წუთზე „ლელომ" თავისი მაინც გაიტანა – ყიასაშვილმა ჯარიმა ზუსტად დაჰკრა. 10 წუთში მანვე თავისი შანსი კიდევ ერთხელ გამოიყენა და მეტოქესთან ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა.

არმიელებმა კიდევ ერთი ნაკრების წევრის, ლექსო გუგავას შეცდომით ისარგებლეს, რომელმაც გადაკიდებული ბურთი ვერ დაიმორჩილა და ბახვა კობახიძემ ჯარიმა გაიტანა. ტაიმის ბოლოს „ლელო" კიდევ დაჯარიმდა და კობახიძემ 7-ქულიანი სტატუს-კვო აღადგინა – 13:6.

მეორე ტაიმიც „არმიას" შეტევებით დაიწყო, მაგრამ „ლელომ" მალევე დაალაგა სიტუაცია. ყიასაშვილმა და კობახიძემ ჯარიმები გაცვალეს, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ეს არმიელთა ბოლო ქულები იყო მატჩში.

ამის შემდეგ მოედანზე მხოლოდ „ლელო" დომინირებდა. ლელოელებმა ჩათვლის მოედანთან ახლოს დერეფანი მოიგეს, მოლი ააგორეს და რევაზ ბელქანიამ ლელო გაიტანა. ყიასაშვილს გარდასახვა გაუფუჭდა და ლიდერად კვლავ „არმია" დარჩა, თუმცა ყიასაშვილმა იქვე ჯარიმა გაიტანა და „ლელო" დაწინაურდა – 17:16.

75-ე წუთიც დადგა და „ლელომ" ულამაზესი ლელო გაიტანა – ორიგინალური კომბინაციით და მაღალ სისწრაფეზე გათამაშებული ბურთი ჩათვლის მოედანში ირაკლი გეგენავამ შეიტანა. ყიასაშვილმა გარდასახვა გამოიყენა. 24:16 – ასე იმარჯვა „ლელომ" და 25 მაისისთვის საჩემპიონო მატჩში მეტოქეს ელის.



**აია – არმაზი 32:12**

**აია:** 15.ძნელაძე, 14.გოშაძე, 13.კუხიანიძე, 12.ხამაშურიძე, 11.ფრუიძე (ს.კვერნაძე 58), 10.სინაურიძე (ჯინჭველაშვილი 58), 9.როხვაძე (გ.თუთბერიძე 62); 1.რატიაშვილი 2.თხელიძე (ლომთაძე 69), 3.ლომიძე (მატკავა 48), 4.შალამბერიძე, 5.ძაგნიძე (ჩიტეიშვილი 41), 6.რევიშვილი, 7.ყურაშვილი, 8.შაშიაშვილი (დგებუაძე 54)

**5 ლელო:** ხამაშურიძე, ყურაშვილი, ლომიძე, გოშაძე(2);

**2 გარდასახვა:** სინაურიძე (2);

**ჯარიმა:** სინაურიძე;

**არმაზი:** 15.ნიკოლავა, 14.მაჩხანელი (ბაქანიძე 47), 13.პ.მაისურაძე (სირაძე 58), 12.ბ.ჩხაიძე (პინაიშვილი 52), 11.ა.ხუციშვილი, 10.დ.კიკნაძე, 9.ბროძელი (მჟავანაძე 62); 1.ბუკია, 2.სოსელია, 3.ჯიბლაძე (ესართია 37), 4.ჯიშკარიანი (გიგაური 41), 5.ჭელიძე (ლეკბორაშვილი 62), 6.კანდელაკი, 7.მინაშვილი, 8. თაგაური;

**2 ლელო:** სოსელია, ა. ხუციშვილი;

**გარდასახვა:** ნიკოლავა

„აიამ" შესანიშნავი პირველი ტაიმი ჩაატარა და მცირე ფინალისტის ვინაობა შესვენებამდე გადაწყვიტა.

მატჩი ქუთაისელთა შეტევებით დაიწყო. მე-4 წუთზე მასპინძლებმა ჯარიმა სწრაფად გაათამაშეს, რითიც კარგად ისარგებლა ხამაშურიძემ და ბურთი კარის ძელებს შორის დაამიწა. სინაურიძემ იოლი გარდასახვაც გამოიყენა – 7:0.

მე-13 წუთზე მასპინძლებმა აუტი მოიგეს, მოლი ააგორეს და თბილისელთა ჩათვლის მოედნისკენ დაიძრნენ, მოულოდნელად მოლს ყურაშვილი მოსწყდა და ბურთიანად მეტოქის ლელოში შეირბინა – 12:0. სინაურიძის გარდასახვა ძელმა აისხლიტა.

5 წუთში შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში კიდევ უფრო გაზარდეს. ქუთათურებმა შერკინება მოიგეს და მძლავრი ბიძგით სტუმრებს უკან დაახევინეს, დამამთავრებელ ფაზაში თხელიძემ ხაზი გაჭრა და ბურთი ლომიძეს გადააწოდა, რომელსაც მისი დამიწება არ გასჭირვებია. ხელსაყრელი მდგომარეობიდან სინაურიძეს გარდასახვა არ გასჭირვებია – 19:0.

ტაიმის შუაწელს თბილისელებიც გამოცოცხლდნენ. მათ მასპინძელთა ლელოს სიახლოვეს დანიშნული აუტი მოიგეს და მძლავრი ბიძგით მეტოქის ჩათვლის მოედანში შეაღწიეს. ბურთი სოსელიამ დაამიწა, კიკნაძეს კი გარდასახვა გაუცუდდა – 19:5.

ხუთ წუთში ზუსტი საჯარიმო დარტყმით სინაურიძემ ანგარიში გაზარდა, ხოლო ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა მეოთხე ლელოც გაიტანეს. სტუმრებმა 22-მეტრიანი ზონიდან სტუმრებმა სწრაფი გათამაშება სცადეს და შეცდომა დაუშვეს. ამით კარგად ისარგებლა კუხიანიძემ, მან ბურთი მოიხელთა და გოშაძეს სალელოვედ გადააწოდა. სინაურიძემ რეალიზაცია ვერ გამოიყენა – 27:5.

მეორე ტაიმი განსხვავებული სცენარით წარიმართა და „არმაზი" სერიოზულ უპირატესობას ფლობდა. დიდი დრო თბილისელებმა პრაქტიკულად მეტოქის 22-მეტრიან ზონაში გაატარეს. რამდენჯერმე ხელსაყრელი ჯარიმის დარტყმაზე უარი თქვეს და ლელოზე ითამაშეს, მაგრამ „აია" კარგად იცავდა თავს. მეტიც, არმაზელთა მორიგი შეტევისას ხამაშურიძემ ბურთი ჩაჭრა და მისი დაწყებული კომბინაცია გოშაძემ დაასრულა – 32:5.

მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, თუმცა, „არმაზმა" მაინც გაიბრძოლა, მაგრამ მხოლოდ ხუციშვილის ლელოსა და ნიკოლავას გარდასახვას გამოჰკრა ხელი – 32:12.

მცირე ფინალი 27 ან 28 აპრილს გაიმართება და „არმია" შინ დაუხვდება „აიას".

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ტოტენჰემი-სიტი ........................ 3:1
ლივერპული-ჩელსი ........................ 2:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 33 | 26 | 3 | 4 | 75:35 | 81 |
| 2.სიტი | 33 | 20 | 8 | 5 | 59:30 | 68 |
| 3.არსენალი | 34 | 18 | 9 | 7 | 65:35 | 63 |
| 4.ჩელსი | 33 | 18 | 8 | 7 | 66:35 | 62 |
| 5.ტოტენჰემი | 33 | 18 | 7 | 8 | 58:41 | 61 |
| 6.ევერტონი | 34 | 14 | 14 | 6 | 51:38 | 56 |
| 7.ლივერპული | 34 | 13 | 12 | 9 | 61:42 | 51 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 13 | 6 | 14 | 43:44 | 45 |
| 9.სუონსი | 33 | 10 | 12 | 11 | 43:42 | 42 |
| 10.ვესტ ჰემი | 34 | 11 | 9 | 14 | 40:47 | 42 |
| 11.ფულემი | 34 | 10 | 10 | 14 | 44:52 | 40 |
| 12.საუთჰემპტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 47:54 | 39 |
| 13.ნორვიჩი | 34 | 8 | 14 | 12 | 33:53 | 38 |
| 14.სანდერლენდი | 34 | 9 | 10 | 15 | 38:45 | 37 |
| 15.სტოკი | 34 | 8 | 13 | 13 | 30:41 | 37 |
| 16.ნიუკასლი | 34 | 10 | 7 | 17 | 43:60 | 37 |
| 17.ასტონ ვილა | 33 | 8 | 10 | 15 | 36:60 | 34 |
| 18.უიგანი | 33 | 8 | 7 | 18 | 37:60 | 31 |
| 19.ქპრ | 34 | 4 | 12 | 18 | 27:56 | 24 |
| 20.რედინგი | 34 | 5 | 9 | 20 | 37:65 | 24 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

დეპორტივო-ბილბაო ........................ 1:1
ოსასუნა-სოსიედადი ........................ 0:0
სევილია-ატლეტიკო ........................ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 27 | 3 | 2 | 99:33 | 84 |
| 2.რეალი | 32 | 22 | 5 | 5 | 83:30 | 71 |
| 3.ატლეტიკო | 32 | 21 | 5 | 6 | 57:25 | 68 |
| 4.სოსიედადი | 32 | 15 | 10 | 7 | 57:39 | 55 |
| 5.ვალენსია | 32 | 15 | 8 | 9 | 52:46 | 53 |
| 6.მალაგა | 32 | 14 | 8 | 10 | 45:37 | 50 |
| 7.ბეტისი | 32 | 14 | 6 | 12 | 48:49 | 48 |
| 8.რაიო | 32 | 14 | 3 | 15 | 41:52 | 45 |
| 9.ხეტაფე | 32 | 12 | 8 | 12 | 39:48 | 44 |
| 10.ესპანიოლი | 32 | 11 | 10 | 11 | 42:42 | 43 |
| 11.სევილია | 32 | 12 | 6 | 14 | 48:46 | 42 |
| 12.ლევანტე | 32 | 11 | 7 | 14 | 35:51 | 40 |
| 13.ვალიადოლიდი | 32 | 10 | 9 | 13 | 41:45 | 39 |
| 14.ბილბაო | 32 | 10 | 6 | 16 | 35:57 | 36 |
| 15.ოსასუნა | 32 | 8 | 8 | 16 | 26:36 | 32 |
| 16.დეპორტივო | 32 | 7 | 9 | 16 | 43:65 | 30 |
| 17.გრანადა | 32 | 7 | 8 | 17 | 29:51 | 29 |
| 18.მალიორკა | 32 | 7 | 7 | 18 | 34:64 | 28 |
| 19.სარაგოსა | 31 | 7 | 6 | 18 | 28:49 | 27 |
| 20.სელტა | 31 | 6 | 6 | 19 | 29:46 | 24 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-ელჩე ........................ 1:0
ალმერია-ნუმანსია ........................ 1:1
ბარსელონა ბ-მურსია ........................ 1:1
ერკულესი-კორდობა ........................ 1:0
ვილიარეალი-რასინგი ........................ 1:0
რეალი ბ-მირანდესი ........................ 6:1

### იტალია. სერია ა

ინტერი-პარმა ........................ 1:0
ბოლონია-სამპდორია ........................ 1:1
კატანია-პალერმო ........................ 1:1
ნაპოლი-კალიარი ........................ 3:2
რომა-პესკარა ........................ 1:1
სიენა-კიევო ........................ 0:1
ფიორენტინა-ტორინო ........................ 4:3
იუვენტუსი-მილანი ........................ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 24 | 5 | 4 | 64:20 | 77 |
| 2.ნაპოლი | 33 | 19 | 9 | 5 | 61:32 | 66 |
| 3.მილანი | 33 | 17 | 8 | 8 | 56:36 | 59 |
| 4.ფიორენტინა | 33 | 17 | 7 | 9 | 62:42 | 58 |
| 5.ინტერი | 33 | 16 | 5 | 12 | 51:45 | 53 |
| 6.რომა | 33 | 15 | 7 | 11 | 64:54 | 52 |
| 7.უდინეზე | 33 | 13 | 12 | 8 | 45:39 | 51 |
| 8.ლაციო | 33 | 15 | 6 | 12 | 40:40 | 51 |
| 9.კატანია | 33 | 13 | 9 | 11 | 41:38 | 48 |
| 10.კალიარი | 33 | 11 | 9 | 13 | 41:52 | 42 |
| 11.ბოლონია | 33 | 10 | 9 | 14 | 43:42 | 39 |
| 12.პარმა | 33 | 10 | 9 | 14 | 39:43 | 39 |
| 13.კიევო | 33 | 11 | 6 | 16 | 33:48 | 39 |
| 14.სამპდორია | 33 | 10 | 9 | 14 | 38:40 | 38 |
| 15.ატალანტა | 33 | 11 | 7 | 15 | 35:48 | 38 |
| 16.ტორინო | 33 | 8 | 13 | 12 | 43:47 | 36 |
| 17.სიენა | 33 | 9 | 9 | 15 | 34:45 | 30 |
| 18.პალერმო | 33 | 5 | 14 | 14 | 30:46 | 29 |
| 19.ჯენოა | 33 | 6 | 11 | 16 | 33:51 | 29 |
| 20.პესკარა | 33 | 6 | 4 | 22 | 25:67 | 21 |

შენიშვნა:

**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

### გერმანია. ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ფრაიბურგი ........................ 2:1
ნიურნბერგი-ფიურტი ........................ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 26 | 3 | 1 | 89:14 | 81 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 18 | 7 | 5 | 74:35 | 61 |
| 3.ლევერკუზენი | 30 | 15 | 8 | 7 | 58:38 | 53 |
| 4.შალკე | 30 | 13 | 7 | 10 | 50:46 | 46 |
| 5.ფრაიბურგი | 30 | 12 | 9 | 9 | 40:36 | 45 |
| 6.აინტრახტი | 30 | 13 | 6 | 11 | 43:42 | 45 |
| 7.გლადბახი | 30 | 11 | 11 | 8 | 37:39 | 44 |
| 8.ჰამბურგი | 30 | 13 | 5 | 12 | 36:46 | 44 |
| 9.მაინცი | 30 | 10 | 9 | 11 | 36:36 | 39 |
| 10.შტუტგარტი | 30 | 11 | 6 | 13 | 33:47 | 39 |
| 11.ჰანოვერი | 30 | 11 | 5 | 14 | 51:55 | 38 |
| 12.ნიურნბერგი | 30 | 9 | 11 | 10 | 33:40 | 38 |
| 13.ვოლფსბურგი | 30 | 9 | 10 | 11 | 38:45 | 37 |
| 14.ვერდერი | 30 | 8 | 8 | 14 | 45:59 | 32 |
| 15.ფორტუნა | 30 | 7 | 9 | 14 | 36:47 | 30 |
| 16.აუგსბურგი | 30 | 6 | 9 | 15 | 27:45 | 27 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 30 | 6 | 6 | 18 | 35:59 | 24 |
| 18.ფიურტი | 30 | 3 | 9 | 18 | 20:52 | 18 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

აინტრახტი-აუე ........................ 1:1
დინამო-კოტბუსი ........................ 1:0
ჰერტა-ზანდჰაუზენი ........................ 1:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ბასტია-ლილი ........................ 1:2
ნანსი-ევიანი ........................ 3:1
რეიმსი-ვალანსიენი ........................ 0:1
სოშო-ბორდო ........................ 2:2
ტულუზა-ლორიენი ........................ 0:1
პსჟ-ნიცა ........................ 3:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 21 | 7 | 5 | 60:20 | 70 |
| 2.მარსელი | 33 | 18 | 7 | 8 | 37:32 | 61 |
| 3.ლიონი | 33 | 17 | 8 | 8 | 54:35 | 59 |
| 4.ლილი | 33 | 15 | 11 | 7 | 50:32 | 56 |
| 5.სენტ ეტიენი | 32 | 14 | 12 | 6 | 51:25 | 54 |
| 6.ნიცა | 33 | 15 | 9 | 9 | 48:40 | 54 |
| 7.ლორიენი | 33 | 13 | 11 | 9 | 53:51 | 50 |
| 8.მონპელიე | 33 | 14 | 6 | 13 | 50:43 | 48 |
| 9.ბორდო | 33 | 11 | 14 | 8 | 35:30 | 47 |
| 10.რენი | 32 | 12 | 6 | 14 | 43:47 | 42 |
| 11.ტულუზა | 33 | 10 | 11 | 12 | 40:42 | 41 |
| 12.ვალანსიენი | 33 | 10 | 10 | 13 | 42:48 | 40 |
| 13.ბასტია | 33 | 11 | 6 | 16 | 44:62 | 39 |
| 14.რეიმსი | 33 | 9 | 10 | 14 | 31:38 | 37 |
| 15.აიაჩო | 32 | 8 | 13 | 11 | 33:41 | 35 |
| 16.ევიანი | 33 | 8 | 10 | 15 | 39:49 | 34 |
| 17.ნანსი | 33 | 8 | 10 | 15 | 33:49 | 34 |
| 18.სოშო | 33 | 8 | 9 | 16 | 34:52 | 33 |
| 19.ბრესტი | 33 | 8 | 5 | 20 | 29:51 | 29 |
| 20.ტრუა | 32 | 4 | 13 | 15 | 36:55 | 25 |

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

### ჰოლანდია. ეკრედივიზიონი

ვენლო-ტვენტე ........................ 2:2
უტრეხტი-ბრედა ........................ 3:0
ნაიმეგენი-ზვოლე ........................ 1:3
ფეიენოორდი-ვიტესი ........................ 2:0

### პორტუგალია. ა ლიგა

ბეირა მარი-ჟილ ვისენტე ........................ 1:0
სეტუბალი-ეშტორილი ........................ 1:0
ნასიონალი-მარიტიმუ ........................ 2:1
ბენფიკა-სპორტინგი ........................ 2:0

### რუსეთი. პრემიერლიგა

ცსკა-სპარტაკი ........................ 2:2
ზენიტი-კრასნოდარი ........................ 1:0
ანჟი-დინამო ........................ 3:3

### შოტლანდია. პრემიერლიგა

სელტიკი-ინვერნესი ........................ 4:1
სტ.ჯონსონი-როსი ........................ 2:2

### შვეიცარია. სუპერლიგა

თუნი-ბაზელი ........................ 2:2
ლუცერნი-გრასჰოპერსი ........................ 1:1
სიონი-იანგ ბოიზი ........................ 0:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-რაპიდი ........................ 2:2

### ბელგია. პროლიგა

გენკი-ბრიუგე ........................ 0:2
ვარეგემი-ანდერლეხტი ........................ 2:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ოფი ........................ 2:1
ატრომიტოსი-აეკი ........................ 1:0
ქსანთი-არისი ........................ 0:0
ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი ........................ 2:1
პანათინაიკოსი-ვერია ........................ 3:2
პანთრათიკოსი-კერკირა ........................ 2:1
პაოკი-იანინა ........................ 2:0
პლატანიასი-ლევადიაკოსი ........................ 2:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ისტანბული-გაზიანთეპი ........................ 1:3
ქაისერი-სივასი ........................ 1:1
ანთალია-ბურსა ........................ 0:1
გენჩლერი-ფენერბახჩე ........................ 2:0

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

სიგმა-ბოლესლავი ........................ 2:2
ჰრადეც კრალოვე-დუკლა ........................ 0:3

### პოლონეთი. ეკსტრაკლასა

შლიონსკი-ლეჩნა ........................ 1:1
ლეხი-ზაგლებია ........................ 3:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალისტი-ჩერნომორეცი ........................ 3:1
ტავრია-ვოლინი ........................ 3:0
დნიპრო-შახტარი ........................ 1:1

### დანია. სუპერლიგა

რანდერსი-ნორდსიელანდი ........................ 0:0
სონდერიისკე-ოდენსე ........................ 4:1
ბრონდბიუ-სილკებორგი ........................ 2:2
ოლბორგი-კოპენჰაგენი ........................ 1:1

### შვედეთი. ალსვენსკა

ატვიდაბერგი-გიოტებორგი ........................ 1:2
ჰალმშტადი-კალმარი ........................ 1:2
ბრომაპოიკარნა-ჰელსინბორგი ........................ 0:2
ჰეკენი-მიალბი ........................ 2:0

### ნორვეგია. ტიპელიგა

ალესუნდი-ტრომსო ........................ 0:0
ულფი-ჰონეფოსი ........................ 1:1
სონგდალი-სარპსბორგი ........................ 0:0
სტრომგოდსეტი-ლილესტრიომი ........................ 1:0
ჰაუგესუნდი-რუსენბორგი ........................ 3:1

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

როვანიემი-ლახტი ........................ 1:1
მარიეჰამნი-ჯჯკ ........................ 2:2
მიუპა-ინტერი ........................ 1:0
იარო-კუუპიო ........................ 2:1

### ირლანდია. პრემიერ დივიზიონი

ბრეი-ლიმერიკი ........................ 0:4

### აშშ. მლს

დ.დ.იუნაიტედი-ფილადელფია ........................ 2:3
სან ხოსე-პორტლენდი ........................ 1:1

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

რაფაელა-ინდეპენდიენტე ........................ 2:0
სარანდი-სან ლორენცო ........................ 1:3
ბოკა-ბელგრანო ........................ 0:0
გოდოი-რივერ პლეიტი ........................ 1:2

## კალათბურთი

### ნბა. პლეი ოფები

ინდიანა-ატლანტა ........................ 107:90
სერიის ანგარიში: ........................ 1:0
სან ანტონიო-ლეიკერსი ........................ 91:79
სერიის ანგარიში: ........................ 1:0
მაიამი-მილუოკი ........................ 110:87
სერიის ანგარიში: ........................ 1:0
ოკლაჰომა-ჰიუსტონი ........................ 120:91
სერიის ანგარიში: ........................ 1:0

## ჩოგბურთი

### ვტა. მონტე კარლო

ფინალი

ნადალი-ჯოკოვიჩი ........................ 2:6;6:7

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

ბოსტონი-ფლორიდა ........................ 3:0
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი ........................ 4:1
მინესოტა-კალგარი ........................ 1:4
ტამპა ბეი-კაროლინა ........................ 2:3
კოლორადო-სენტ ლუისი ........................ 5:3
სან ხოსე-ანაჰაიმი ........................ 1:3
ლოს ანჯელესი-დალასი ........................ 4:3(ოტ)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## წიგნის დღე წიგნის გარეშე ჩაივლის

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მანამდეც არსებობდა, თუმცა, სამინისტროსა და გამომცემლებს შორის იყო სიტყვიერი შეთანხმება, რომ ლიცენზია გამომცემლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმეოდათ, როდესაც ვადებში ვერ ასწრებდნენ სახელმძღვანელოების ბეჭდვას. აუცილებელია საზოგადოებრივი საჭიროება როგორც ამ მუხლშია ჩადებული, თავიდან შეთანხმებული იყო მხარეებს შორის, რომ განმარტებული იქნებოდა იმდაგვარად, როცა გამომცემლები არღვევდნენ თავიანთ ვალდებულებას, არ ბეჭდავდნენ წიგნებს, სასწავლო წელი უკვე მოსული იყო კარს და სახელმწიფო რამენაირად უნდა ჩარეულიყო, ასეთი ტიპის შეზღუდული ინტერპრეტაცია უნდა მისცემოდა ამ ნორმას. განათლების სამინისტრო დღეს ამბობს, რადგან ეს ნორმა მიდევს ჩემს ბრძანებაში, მე შემიძლია უბრალოდ მოვიდე და წაგართვა შენ საკუთრების უფლება იმ წიგნებზე, რომელიც ამ გამომცემლებმა შექმნეს. რაღაც სასაცილო, მაგრამ მაინც კომპენსაცია არის ამ ბრძანებაში ჩადებული და ვინმემ შეიძლება ამ კუთხით შეხედოს, მაგრამ ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ეს არის ძალიან საშიში პრეცედენტი. ადამიანის უფლებების შეზღუდვას როგორც მინიმუმ ფორმალურად პარლამენტის კანონი სჭირდება, ეს არ შეიძლება ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისივე აქტით დააწესოს, განათლების სამინისტრო შემოდის და გეუბნება, რომ მე დღეს ერთ დღეში მოვაწერ ბრძანებას ხელს და პრაქტიკულად ჩამოგართმევ ამის უფლებას. ამ სახელმძღვანელოებისთვის გამომცემლებს ხომ ბაზარი ეკარგებათ. ხელშეკრულების ხსენებული მუხლის ამოქმედებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობას ეხება. განათლების სამინისტრო უხეშად არღვევს გამომცემლების უფლებებს, სწორედ ამიტომ ხელშეკრულების ამ მუხლის გაუქმების მოთხოვნით სახელმწიფო კანცელარიაში საჩივარი პრემიერის სახელზეა შეტანილი. განცხადება შეტანილია სასამართლოშიც, რომელშიც ნათქვამია, რომ იგეგმება სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელის შეტანა. გამომცემლები ითხოვენ, შეწყდეს წიგნების ბეჭდვა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდეც.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი წიგნის მაღაზიებზე ზეწოლას უარყოფს და საპროტესტო აქციებსაც დიდი წუხილით ხვდება:

– მე ვდარდობ იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი აქცია დაიგეგმა. არავითარ ზეწოლას არ ვახორციელებთ, უბრალოდ ვდარდობთ, რომ ეს ასეთი ფორმით ვითარდება. გამომცემელთა ნაწილი პირიქით, წავიდა იმ მიმართულებით, რომ წიგნებს უფასოდაც კი არიგებენ სკოლაში. ქველმოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენნაირ საზოგადოებაში. ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების გარანტი სამართლებრივ საზოგადოებაში კონტრაქტია. არავინ გვდებს ბრალს კონტრაქტის დარღვევაში, რადგან კონტრაქტით განსაზღვრულ ყველა პირობას ვიცავთ. ჩვენ არანაირი ინტერესი მონოპოლიის შექმნისა არ გვაქვს. ბეჭდვის ფასი, რასაც გამომცემლები ასახელებდნენ 4-5 ლარია, დღეს კი, ეს იბეჭდება 1 ლარად და 80 თეთრად. რა ლოგიკით საუბრობენ მონოპოლიის შექმნაზე. რაც შეეხება წიგნის ფასს, თუკი ის ღირდა 10 ლარი, ახლა არის უფასო, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

## პრაღაში თბილისის დღეები გაიმართება



ეკა ირემაშვილი

23 და 24 აპრილს ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა თბილისის დღეებს უმასპინძლებს. გასული წლის ნოემბრის თვეში თბილისში, პრაღის კულტურის დღეები გაიმართა, რომელზეც წარმოდგენილი იქნა პრაღის ნაციონალური საბალეტო დასის ორი წარმოდგენა, გამოფენა სახელწოდებით „პანორამული პრაღა", ცნობილი ახალგაზრდა ჩეხი პიანისტის ივო კაჰანიკის კონცერტი და ქუჩის თეატრის წარმოდგენები.

პრაღაში „თბილისის დღეების" ჩატარება სწორედ გასულ წელს აღნიშნული ღონისძიებების მიმდინარეობისას ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეთანხმდა.

როგორც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი იტყობინება, პრაღაში „თბილისის დღეები" 22 აპრილს ოფიციალურად გაიხსნა ანსამბლის „ქართული ხმების" კონცერტით, პრაღის მერია უმასპინძლებს ძველი თბილისის რეაბილიტაციის ამსახველ ფოტო გამოფენას, ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე ორ კონცერტს გამართავს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ჩასაბერ ინსტრუმენტთა ანსამბლი „ჯორჯიან ბრასი", თითების თეატრი ორ სპექტაკლს წარმოადგენს თეატრში „მინორი", პრაღის მუნიციპალურ მუზეუმში კი გაიმართება თბილისის მუნიციპალური მუზეუმების თემატური გამოფენა.

დელეგაცია საქართველოდან უკვე გაემგზავრა ჩეხეთში და იქაურ საზოგადოებასთან შესახვედრად ემზადება. ქართველი ხელოვანებით დაკომპლექტებულ დელეგაციას თბილისის მერი გიგი უგულავა ხელმძღვანელობს. ქართული კულტურის დღეები ჩეხეთში 24 აპრილს საზეიმოდ დაიხურება და ქართველი ხელოვანები თბილისში 25 აპრილს დაბრუნდებიან.

## თბილისის მოდის კვირეული „ქარვასლაში" გაიხსნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლისი" უმასპინძლებს, ისევე როგორც თავად უცხოელ სტუმრებს და რამდენიმე დახურულ ღონისძიებას. მასტერკლასების დროს სტუმრებს გენერალური სპონსორის ყავით „კარტ ნუარ" გაუმასპინძლდებიან. თბილისის მოდის კვირეული ყველაზე კრეატიური და ინოვაციური ღონისძიებაა საქართველოს მოდის კალენდარში, რომლის ფარგლებშიც პროფესიონალ თუ დამწყებ დიზაინერებს, მოდელებსა თუ ამ სფეროს სხვა წარმომადგენლებს, ეძლევათ შანსი, წარმოაჩინონ საკუთარი თავი და შესაძლებლობები, – აღნიშნავს ჯაბა სიხარულიძე.

თბილისის მოდის კვირეულის მხარდამჭერები არიან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია და თბილისის სამხატვრო აკადემია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

თბილისის მოდის კვირეულზე დაგეგმილი მასტერკლასები 24 აპრილს დაიწყება და ჩატარდება როგორც სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენლებისთვის, ბლოგერებისთვის, ჟურნალისტებისთვის და ფოტოგრაფებისთვის, ასევე დამწყები და პროფესიონალი დიზაინერებისთვის. მასტერკლასებს უცხოელი სპეციალისტები თარჯიმნების დახმარებით ჩაატარებენ და შეეხებიან თემებს 2014 წლის გაზაფხული ზაფხულის ტენდენციები, მოდის ტენდენციები, მოდის ჟურნალისტიკა, მოდის ფოტოგრაფია და ბლოგერობა. მასტერკლასები 24, 25 და 26 აპრილს გაიმართება.

რაც შეეხება კოლექციების ჩვენებებს, თბილისის მოდის კვირეულს ქარვასლაში გახსნის მარკ ბაუერის გამოფენა და მას შეენაცვლებიან რია ქებურია, ატელიე მატერია, კსენია შნაიდერი. ავთანდილი თავისი კოლექციის ჩვენებას თბილისის ცირკში მოაწყობს, სიმონ მაჩაბელის გამოფენა ჰოლიდეი ინ-ში ჩატარდება, ატელიე კიკალა ქარვასლაში გადაინაცვლებს, ამავე სივრცეში კოლექციებს წარადგენენ აინურ ტურისბეკი, ეკა ბალანჩივაძე, თამუნა ინგოროყვა, ქეთი ჩხიკვაძე, აკა ნანიტაშვილი. ქარვასლაშივე წარმოდგენილი იქნება თამარა კოპალიანის პერფომანსი, გიორგი შაღაშვილის კოლექცია. 26 აპრილს ჩატარდება დამწყებ დიზაინერთა კონკურსი, რომელსაც ჩაენაცვლება ტატუნა ნიკოლაიშვილის კოსტიუმები, ატელიე „10ა" სრულიად ახალ კოლექციას წარმოადგენს, ხოლო თბილისის მოდის კვირეულს დახურავს დათუნა სულიკაშვილის ნამუშევრები, რომელსაც მოდელები ლისის იპოდრომზე აჩვენებენ.

## გიგა ბექვაია: რისთვისაც დავისაჯე, ნუღარ მახსენებენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

– ფეხბურთელს მაქინაციებისთვის იჭერ, მერე უშვებ და საკუთარ კლუბში ასაქმებ, ყოველივე ამას რაიმე კომენტარი სჭირდება? – ასეთი სიტყვები თქვა „დინამოს" პრეზიდენტმა რომან ფიფიამ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში. ამის სავარაუდო ადრესატი ალბათ შენც იყავი.

– პირველ რიგში, მე იმ პერიოდში სხვა კლუბში ვირიცხებოდი. ჩემთვის ავადგასახსენებელი ფაქტის შემდეგ, სათანადოდ დავისაჯე და ბოდიშიც მოვიხადე. რაც შეეხება რომან ფიფიას განცხადებას, არ შეიძლება წელიწადნახევრის შემდეგ ისევ იმ თემასთან დაბრუნება და გაუგებარი კომენტარის გაკეთება. ჩემთვის მტკივნეული პერიოდის გასვლის შემდეგ, გორის „დილას" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩემთან ურთიერთობა, რისთვისაც მადლობას ვუხდი კლუბს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მაშინ ნდობა გამომიცხადა.

– შენი ფეხბურთში დაბრუნების შემდეგ განაცხადე, რომ დისკვალიფიკაციის პერიოდში განაგრძობდი ვარჯიშს ფორმის შესანარჩუნებლად. ზოგიერთებმა კი ეს იმგვარად გაიგეს, თითქოს შენ თავიდანვე იცოდი, რომ აუცილებლად მოხდებოდა შენი ფეხბურთში დაბრუნება.

– 25 წლის ასაკში ძალიან კარგ ფორმაში ვიმყოფებოდი. და იმ ფაქტის შემდეგ არ ვაპირებდი არანაირად დანებებასა და ფარ-ხმლის დაყრას. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, თითქოს მე ვიცოდი რომ ფეხბურთში დამაბრუნებდნენ. აქვე მინდა ფეხბურთის ფედერაციას და ყველა იმ ადამიანს მადლობა გადავუხადო, ვინც ჩემს ფეხბურთში დაბრუნებაში წვლილი შეიტანა. აქვე მინდა აღვნიშნო, ფეხბურთში დაბრუნების შემდეგ თავი არ დამიზოგავს ჩემი გუნდისა და გულშემატკივრების წინაშე. „დილას" შემადგენლობაში ჩავატარე 33 ოფიციალური მატჩი, გავიტანე 4 გოლი. ამ შეხვედრებიდან 6 ევროპის ლიგაზე ვითამაშე და ვფიქრობ, გავამართლე ჩემზე დაკისრებული იმედები.

– შენ იმ კლუბის წევრი ხარ, რომელსაც „დინამოსა" და „ზესტაფონის" პრეზიდენტები გარკვეულ მაქინაციებში ადანაშაულებენ. რა რეაქციას იწვევს ეს ბრალდებები შენში?

– ჩემი აზრით, ეს ბრალდებები სატურნირო ცხრილიდან და კლუბებს შორის დაძაბული მატჩებიდან არის გამომდინარე. ვფიქრობ არიან ადამიანები, ვინც გორის „დილას" მსგავსი კლუბის ასეთ მცირე დროში ჩამოყალიბებას შურის თვალით უყურებენ. ჩვენ არ ვაქცევთ ასეთ აზრებს ყურადღებას და ვაგრძელებთ ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

– უახლოესი მატჩი გიწევთ თბილისის „დინამოსთან", როგორია გუნდის და შენი პირადი მოტივაცია ამ გუნდთან და დარჩენილ შეხვედრებში.

– „დინამოსთან" 27-ში სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია. ჩვენ ორმაგად მოტივირებულნი გავალთ მოედანზე და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გამარჯვებას მივაღწიოთ. და ამით ვეცდებით ყველას დავუმტკიცოთ, რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვართ. მოტივაცია დარჩენილ შეხვედრებშიც უდიდესია. ყველა ჩვენთაგანი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დარჩენილ მატჩებს. კლუბი თავისი ისტორიის მანძილზე პირველად იბრძვის ჩემპიონობისთვის და დიდი სურვილი გვაქვს რომ ეს ტიტული სამართლიან ბრძოლაში მოვიპოვოთ.

## პატრიარქის იუბილეს წიგნი მიეძღვნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბით შედგა. ხსოვნის საღამო გაიმართა საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში ამ უქმეებზე. ამჯერად შეკრებილმა საზოგადოებამ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვალერი სილოგავა გაიხსენა.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, დრამის ფაკულტეტის, ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გუნდის დირიჟორის სპეციალობის სტუდენტებმა საკურსო საღამო საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში მოაწყვეს. საღამოზე სტუდენტებმა ქართული ხალხური სიმღერები და საეკლესიო საგალობლები შეასრულეს. ღონისძიების ორგანიზატორი პროფესორი გომარ სიხარულიძე, ბადრი ტუღუში და საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი იყვნენ.

ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიამ ხატწერის და სამხატვრო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გახსნა, სადაც გამოიფინა ხატები და აღდგომის თემაზე შექმნილი ნახატები.

მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმისა და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების ორგანიზებით კი საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა პოეზიის საღამო „მირზა გელოვანის 97-ე გაზაფხული". საღამოში მონაწილეობდნენ თიანეთის სკოლის მოსწავლეები, ანსამბლები: „კვირია", თსსუ „დეკა", „ერქვანი", დები ზვიადაურები, მირანდა მაისურაძე და სხვები.

ლიტერატურას და ქართულ ენას დაეთმო სამების ახალგაზრდულ ცენტრში გამართული სხვა ღონისძიებებიც. ცენტრის დარბაზში ვაჟა გავაშელის წიგნის „ულიანდაგო მატარებელი" წარდგინება შედგა, რომელსაც მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ.

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით კი სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა სახელწოდებით „სახელმწიფო ენა – ქვეყნის ღირსების საზომი". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებში განხილული იქნა ქართული და აფხაზური ენების პრობლემები. კერძოდ: ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა; ქართული ენის ტექნოლოგიზებისთვის საჭირო გადაუდებელი ამოცანები; აფხაზური ენა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა და საქართველოს მოვალეობები; ნორმირებული მეტყველება და თანამედროვე მასმედიის ენა; მშობლიური ენის მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხები; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; სახელმწიფო ენის დაცვა – ევროპული გამოცდილება; ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენის შესახებ და საქართველო და სხვ.

– ამ კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება და მასთან დაკავშირებით დღეს არსებული პრობლემატიკის წარმოჩენა. მოხსენებები წაიკითხეს მეცნიერებმა თეიმურაზ გვანცელაძემ, ტარიელ ფუტკარაძემ, შუქია აფრიდონიძემ, მერაბ გვაზავამ, ალექსი ჟორდანიამ, მანანა ტაბიძემ, ეკატერინე დადიანმა, რევაზ შეროზიამ, მანანა ტაბიძემ, ლია ქაროსანიძემ, რუსუდან საღინაძემ, მანანა კვასხვაძემ, მარიკა ოძელმა, ნათელა მაღლაკელიძემ, ნანა ლოლაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს მიმართვა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას გაეგზავნება, – აღნიშნა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 2. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კინორეჟისორი; 3. ოპტიკური მინა; 4. ღვინოში ჩამბალი პურისგან მომზადებული შეჭამანდი; 5. ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ავტორი; 10. ხრტილების ანთება; 11. უცხოელების, ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 12. გრძელ დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 15. სახელმწიფო აზიაში; 16. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 17. ბეთჰოვენის ოპერა; 20. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 7. ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 8. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 9. აეროპორტი ტოკიოში; 13. ფულის ერთეული არგენტინაში; 14. მშვენიერების, სრულყოფილი ფორმების მოტრფიალე; 18. ფიანის ქაღალდების, აქციებისგან მიღებული თანხა; 19. ფრანგი მწერალი; 21. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 22. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 23. ჯალათის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბიპლანი; 3. დეკადა; 8. დაფნია; 9. ზარი; 14. ამება; 15. მაკარი; 17. რენო; 20. რაკეტა; 22. ტვინი; 23. რიმესა; 25. ბეი; 26. ორმო; 27. აბიო; 28. ავსტრალია.

**შვეულად:** 1. ბაზა; 2. ინა; 3. დიასპორა; 4. დო; 5. გასტრიტი; 6. ანტი; 7. იარანგი; 10. რემა; 11. სანსკრიტი; 12. კარამელი; 13. ტარა; 16. კოიოტი; 18. კიმბალი; 19. თრომბი; 21. ტავაუ; 24. სვავი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პა; 2. კალევალა; 3. ადამ; 4. ალპაკა; 5. მადა; 6. თხა; 7. ლივ; 8. ლია; 9. ლეო; 10. სამაია; 11. ალ; 12. მარლა; 13. მესკია; 14. მაო; 15. სოტე; 16. გრამი; 17. რემა; 18. აბრა; 19. ტენგე; 20. მერილ; 21. სამპრასი; 22. ვა; 23. არგონი; 24. კვირინალი; 25. პანტა; 26. ტანკა; 27. არაქსი; 28. რასპე; 29. აქტა; 30. ქსი; 31. ბაქო; 32. სინტაქსი; 33. ალტი; 34. ქარავანი; 35. მესა; 36. ტრიოდი.

**სურათებზე:** ქეით ბლანშეტი; ალვარო არბელოა.

# სააკაშვილის გაცხადებული შიშები და დემოკრატიისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯები

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მიმართ, რომელთა შორისაც პირველ რიგში ნინო ბურჯანაძის ფაქტორია აღსანიშნავი, რადგან სააკაშვილი თავისი ბოლო გამოსვლებში, პრაქტიკულად შანსს არ უშვებს, რომ მისი მიმართულებით რაიმე ნეგატიური არ თქვას.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე კი, თავისი განცხადებებიდან და ოპოზიციაში გატარებული წლებიდან გამომდინარე, ნამდვილად შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკოსად, ვისიც მიხეილ სააკაშვილს უსაფუძვლოდ არ ეშინია, რადგან ბურჯანაძე და მისი პოლიტიკური მხარდამჭერები, სააკაშვილის რეპრესიული და პროპაგანდისტული მანქანის განსაკუთრებული სამიზნეები იყვნენ და შესაბამისად, ნინო ბურჯანაძე ერთ-ერთი უმთავრესია იმ პოლიტიკოსთა შორის, ვინც სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალურად განხორციელებითაა დაინტერესებული და ვინც მიხეილ სააკაშვილს პასუხს რეალურად და არა მოსაჩვენებლად აგებინებს.

სხვათა შორის, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, დღიდან მორატორიუმის დარღვევისა, საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს ახალ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის პროცესის ტემპების გამო. ბურჯანაძის კრიტიკის თემა კი, აბსოლუტურად ემთხვევა საზოგადოების მთავარ დაკვეთას.

ასე, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიხეილ სააკაშვილს და შესაბამისად მის ყოფილ გუნდს, დღეს ყველაზე მძიმე დღეები უდგას და სავარაუდოდ კიდევ უფრო მძიმე დღეები დაუდგებათ მომავალში, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით ქვეყანაში წინსვლა მართლაც შეინიშნება, ეს ფაქტორი ნამდვილად ვერ ჩააცხრობს საზოგადოებაში არსებულ მზარდ აგრესიას ყოფილი ხელისუფლების მიმართ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის რეალურად განხორციელების შემდეგ შეიძლება განელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ახალ ხელისუფლებას ძალიან სერიოზული პოლიტიკური კონკურენტი გამოუჩნდება იმ ძალის სახით, ვინც დამნაშავეთა დასჯით რეალურად იქნება დაინტერესებული, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობისგან" გამწარებული საზოგადოების უდიდესი ნაწილის სიმპათიას, სწორედ სამართლიანობისთვის მებრძოლი ძალა მოიპოვებს.

იმ შემთხვევაში კი, თუ სამართლიანობის აღდგენა, როგორც ადრე ვამბობდით, სახელმწიფო მანქანის მეშვეობით არ მოხდება რეალურად დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში, მაშინ ხალხი სამართლიანობის აღდგენას აუცილებლად საკუთარი ძალებით შეეცდება, რაც ქვეყნისთვის ნამდვილად არასახარბიელო შედეგის მომტანი იქნება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სავარაუდოდ ძალიან რეზონანსული გახდება და სერიოზული სამხილების მომტანი იქნება, ეს შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებაა 2011 წლის 26 მაისს დაღუპული ორი პიროვნების ცხედრების ექსჰუმაციის შესახებ. როგორც ვანო მერაბიშვილი თავის დროზე აცხადებდა, აღნიშნული პიროვნებები, 26 მაისის ღამეს, მეტრო „თავისუფლების მოედნის" ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიის სახურავზე ავიდნენ, სადაც ისინი უსაფრთხოების წესების დარღვევით დამონტაჟებულმა ელექტროსადენმა იმსხვერპლა.

არაოფიციალური ვერსიით კი, გარდაცვლილები, ვანო მერაბიშვილის ზონდერებმა ცემით მოკლეს, ხოლო შემდეგ მათი ცხედრები მაღაზიის თავზე შემოაწყვეს და ის ლეგენდა შეთხზეს, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა დაადასტურებს, რომ აღნიშნული პირები ელდენის დარტყმის შედეგად არ გარდაცვლილან და მათი სიკვდილი ფიზიკური ზემოქმედების შედეგად დადგა, — ეს იქნება ბოლო დროის ერთ-ერთი უდიდესი სკანდალი, რომლის შემდეგაც, აუცილებლად უმოკლეს დროში უნდა გაეცეს პასუხი კითხვებს ვინ მოკლა ისინი, ვინ მოიფიქრა მათი ცხედრების მაღაზიის თავზე შემოწყობა და ვინ მისცა მათ თანხმობა აღნიშნულის შესახებ. ნაკლებადსავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის ვანო მერაბიშვილის გარეშე მომხდარიყო, რადგან ქვეყნის „ხერხემალს" მაშინ ფაქტიურად განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია, „ნაციონალური მოძრაობა" უკვე აშკარად თვითლიკვიდაციის გზაზეა შემდგარი, ხოლო რაც უფრო მეტი აგური გამოეცლება მას, მით უფრო მეტ ინფორმაციას შეიტყობს საზოგადოება ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რაც ახალ ხელისუფლებას ორი უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე აყენებს:

მათგან პირველი — პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა, ვინაიდან გარდა იმისა, რომ ის ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი ფაქტების შესახებ ფასდაუდებელი მოწმეა, მისი სიცოცხლის ხელყოფა ქვეყნის მომავლისთვის დადებითის მომტანი ნამდვილად არ იქნება და აქედან გამომდინარე, შესაბამისმა უწყებებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისთვის, რომ სააკაშვილის უსაფრთხოება მაქსიმალურად დაიცვან და მეორე: — „ნაციონალური მოძრაობის" რღვევა, როგორც აღვნიშნეთ აუცილებლად გამოიწვევს ერთმანეთის მიმართ კომპრომატების ფრიალს და აუცილებლად ახდის ფარდას ბევრ დაფარულ დანაშაულებრივ ქმედებას, რაც საზოგადოებაში აგრესიის დონეს კიდევ უფრო გაზრდის. ახალი ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა აკონტროლოს საზოგადოებაში არსებული აგრესიის დონე და არ დაუშვას პირადი ანგარიშსწორების თუნდაც ერთი პრეცენდენტი, რადგან ეს იქნება სერიოზული სტიმული იმისა, რომ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს.

**ნიუსპრესი**

# ჯოჰარ ცარნაევს სიკვდილით დასჯა ელის



ბოსტონის აფეთქებებში ეჭვმიტანილ 19 წლის ჯოჰარ ცარნაევს სიკვდილით დასჯა ელის. ინფორმაციას ამის შესახებ უცხოური მედია ავრცელებს.

„უახლოეს მომავალში ჯოჰარ ცარნაევის წინააღმდეგ ტერორიზმის ბრალდება იქნება წაყენებული და შესაძლოა მას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანონ", — წერს „თაიმსი".

გამოცემასთან საუბარში ჰარვარდის უნივესიტეტის დოქტორი ალან დერშოვიჩი აცხადებს, რომ მასაჩუსეტსის შტატში, სადაც ყველაფერი მოხდა, სიკვდილით დასჯა არ არის, მაგრამ შესაძლოა ტერორისტი ტერორიზმის შესახებ ფედერალური კანონით გაასამართლონ. ეს კანონი ზუსტად ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლი იყო.

„თუ აშშ-ს გენერალური პროკურორი სიკვდილით დასჯას მოითხოვს, ნაფიც მსაჯულებს ისეთი ადამიანებისაგან აარჩევენ რომელთა მორალური რწმენა სიკვდილით დასჯას დასაშვებად მიიჩნევს", — წერს გამოცემა.

ერთ-ერთი უმძიმესი ბრალდება, რომელიც ცარნაცევის სასარგებლოდ ნამდვილად არ იმუშავებს არის ის, რომ აფეთქების შედეგად 8 წლის ბავშვია გარდაცვლილი. ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ეს ფაქტი ყველაზე მეტად იმოქმედებს ნაფიც მსაჯულთა საბოლოო ვერდიქტზე.

რუსეთის სპეცსამსახურმა კი, 2011 წელს, აშშ-ს გამოძიების ფედერალურ ბიუროს, „ბოსტონის ტერაქტის" მოწყობაში ერთ-ერთი ბრალდებულის საქმიანობის გამოძიებით მიმართა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას „როიტერი" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ბოსტონის ტერაქტის" ერთ-ერთი ჩეჩენი ორგანიზატორის ლიკვიდაციის შემდეგ, აღნიშნული ინფორმაცია, ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაადასტურა.

სააგენტოს განცხადებით, 2011 წელს ამერიკის ფედერალურტი ბიურო ტამერლან ცარნაევის საქმიანობით დაინტერესდა, თუმცა ორი წლის წინ მის საქმიანობაში საეჭვო საქმიანობა ვერ აღმოაჩინეს.

შეგახსენებთ, რომ ბოსტონისმარათონისსაფინიშოხაზთან მომხდარი აფეთქების შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა 178 კი მძიმედ დაშავდა. ტერაქტის მოწყობაში კი 26 და 19 წლის ჩეჩენი ძმები არიან ბრალდებული.

ამ ფონზემ, სიეტლთან ახლოს მომხდარი სროლის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ „ესოშეითედ პრესი" იუწყება.

სროლის ერთ-ერთი მონაწილე, გარცელებული ინფორმაციის მიხედვით, პოლიციელებმა დაჭრეს. ოფიცრებმა ის დაჭრილი იპოვეს, თუმცა მასთან მიახლოებისას, მამაკაცმა იარაღის აღება სცადა, რის შემდეგაც პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს.

თუმცა რამდენადაც სროლა იმ მომენტისთვისაც გრძელდებოდა, ჯერ-ჯერობით უცნობია, მამაკაცის სიკვდილი პოლიციელების ქმედებამ გამოიწვია თუ არა.

# ჩინელი ჟურნალისტი მიწისძვრის რეპორტაჟის მოსამზადებლად საკუთარი ქორწილიდან გაიქცა




ნამდვილი პროფესიონალიზმი გამოავლინა ჩინელმა ჟურნალისტმა, როდესაც საქორწინო ცერემონიალის დაწყებამდე ვიდეოპერატორი „დაითრია" და ქუჩაში რეპორტაჟის საწარმოებლად გავარდა. მას არ შეეშინდა და სწორად გათვალა, რომ მიწის ზანზარისას საქმრო შორს ვერ გაიქცეოდა.

მოვლენების ეპიცენტრიდან ჩენ ინმა თანამოქალაქეებს მშობლიურ იანში არსებულ სიტუაციაზე აცნობა და ადგილობრივი მცხოვრებნიც გამოკითხა, იტყობინება ჩინური მედია. მაყურებელი ცოტა არ იყოს გაკვირვებული იყო, რადგან საქორწინო კაბაში რეპორტიორი ნანახი არ ჰყავდათ. მაგრამ ჟურნალისტი საკუთარ გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. სერიოზული სახით და ანთებული თვალებით მომხდარს აღწერდა და არანაირ დისკომფორტს არ გრძნობდა.

სარძლო-რეპორტიორის ფოტო და ვიდეო წამიერად გავრცერლა ჩინურ სოციალურ ქსელებში. კომენტარებში გოგონას კომპლიმენტებით ავსებენ — სიმამაცისთვის და თავგანწირვისთვის.

ჩინელი ქვეყნის გარეთაც ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. სხვათაშორის, ისტორია დუმს, გათხოვდა თუ არა საბოლოოდ ჩენ ინი.

თავის მხრივ „ჰაფინგტონ პოსტი" წერს, რომ ამერიკელი რეპორტიორებიც არ არიან ჯაბანნი. მაგალითისთვის, ბოსტონის მარათონის რამდენიმე მონაწილე პროფესიონალი ჟურნალისტი იყო და აფეთქებისთანავე ისინი „რეპორტაჟის რეჟიმში" გადაერთნენ, — წერს ამერიკული გამოცემა.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას ორასი ადამიანი ემსხვერპლა. არსებული მონაცემებით, დაშავდა 11,5 ათასი ადამიანი. ქვეყნის ხელისუფლების ცნობით, მიწისძვრამ ყველაზე მეტად ქალაქი ლინცუნი დააზარალა.

ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ლი კეციანი სუჩიანის პროვინციაში უკვე ჩავიდა და სამაშველო ოპერაცია პირად კონტროლზე აიყვანა.

# ბელგოროდში მომხდარ სროლას ხუთი ადამიანი, მათ შორის 14 წლის გოგონა ემსხვერპლა

ხუთი ადამიანი დაიღუპა ბელგოროდში მომხდარი სროლის შედეგად. რუსული მედიის ინფორმაციით, ცეცხლი ქალაქის ცენტში, სანადირო მაღაზიის ახლოს გაიხსნა.

რუსეთის შს სამინისტროს მონაცემებით, გარდაცვლილია ხუთი ადამიანი, მათ შორის მაღაზიის სამი გამყიდველი და ორი გამვლელი. ამას გარდა, დაჭრილია ერთი ადამიანი.

დაზუსტებული მონაცემებით, მაღაზია „ოხოტასთან", ავტომობილით მოვიდა მამაკაცი, რომელიც მაღაზიაში შევიდა და ცეცხლი გახსნა.

აღსანიშნავია, რომ დაღუპულთა შორის არის 14 წლის სკოლის მოსწავლე გოგო, მეშვიდე კლასის მოსწავლე.

ბოროტმოქმედი თანამზრახველთან ერთად პრესტიჟული უცხოური მანქანით მიიმალა.

„წინასწარი მონაცემებით, ბელგოროდელი მსროლელი 1981 წელს დაბადებული სერგეი პომაზუნია. ის ოთხჯერ ნასამართლევია სხვადასხვა დანაშაულისთვის, ძირითადად ქურდობაზე", — განმარტეს პოლიციაში.

ასევე წინასწარი მონაცემებით, ბოროტმოქმედი მაღაზია „ოხოტაში" ძარცვის მიზნით მივიდა. ეჭვმიტანილის მამის, ალექსანდრ პომაზუნის თქმით, მისმა შვილმა სახლიდან წაიღო სანადირო იარაღი „საიგა" და „იჟი", ასევე ტრავმატული პისტოლეტი.

მაღაზიაში ადამიანების დაცხრილვის შემდეგ, მკვლელი ქუჩაში გამოვიდა და სროლა გააგრძელა. დამნაშავის ტყვიებით დაიღუპნენ არასრულწლოვნებიც. პოლიციაში თვლიან, რომ სერგეი პომაზუნის თანამზარახველიც ნასამართლევია. ისინი ქალაქის ავტობაზრობის რაიონში იმალებიან. იქ, სროლის



ადგილიდან ორი უბნის სიშორეზე ნახეს მიგდებული ავტომობილი „ბეემვე იქს5" — წერს „კომსონოლსკაია პრავდა". სამოხვალოვის ქუჩის რაიონში, ტერიტორია სამართადამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ გადაკეტილია. მზარცველებს „ომონის" და „სობრის" მებრძოლები ეძებენ.

ნანახია მოწმე, რომელმაც დამნაშვეები ნახა.

რეგიონის ხელმძღანელმა ევგენი სავჩენკომ განაცხადა, რომ დაღუპულების ოჯახები კომპენსაციას მიიღებენ.

# პოლონეთის პრემიერს ევროსთან შეერთება სურს



პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკს თქმით, პოლონელების უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომლებიც ევროპაში არსებული კრიზისის გამო არიან შეშფოთებულები, „მისი სურვილია პოლონეთი რაც შეიძლება სწრაფად შეუერთდეს ევროზონას".

2007 წელს ხელისუფლებაში მოსლისთანავე ევროსთან შეერთება ტუსკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, თუმცა ბოლო პერიოდში აღნიშნავდა რომ მზად იყო ეს საკითხი რეფერენდუმზე გაეტანა.

„პოლონეთის მოსახლეობის უმრავლესობა შეშფოთებულია იმის გამო რაც ახლა ევროზონაში ხდება",-განაცხადა ტუსკმა ბერლინში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ. დონალდ ტუსკი 2007 წლიდან პოლონეთის პრემიერ-მინისტრი; პოსტი დაიკავა მას შემდეგ როცა მისმა პარტიამ გაიმარჯვა 2007 წლის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში.

*მოამზადა ვერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

გელა ყიფიანი, მარინე ქურდაძე, ანზორ კვარაცხელია, ნუგზარ შავლაყაძე, დავით ყიფიანი და ფირან კობიაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის, გიორგი კეკელიას მამის, პროფესორ

**ვარლამ კეკელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 23 აპრილი**

06.30 „მოამბე„(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„(პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„— მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„(პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ„ 21.00 ტ/სერ.„ბორჯია„ 22.00 დ/ფ „ფეხბურთის მეამბოხენი„ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი: (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 00.30 მხ/ფ „მარცხნივ„მარჯვნივ„(ტიტ.) 02.30 დ/ფ „გვინეა„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „უხილავი სამყარო„ 2 ნაწ. 14.00 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე„ 16.00 ფეხბურთი — საქართველოს თასის I ნახევარფინალური მატჩი: „მეტალურგი/ (რუსთავი) — „დინამო/ „თბილისი/ I-II ტაიმი (პ/რ) 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ„

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 15 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 ოტელო – ჯერ შეიცადეთ 14.40 კონცერტი: „თამარ ჭოხონელიძე'' (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 14 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საბავშვო ხმა 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „გრიმი„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 სპექტაკლი „ჰაკი აძბა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ქრისტიანული სწავლება 10.55 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „გაზაფხული გადის„ 13.15 კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი (კამერული მუსიკის კონცერტი) 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 სალვთისმსახურო წელიწადი 16.20 მხ/ფ „მათთვის, ვინც მამამ მიატოვა„ 17.05 დოკ/ფ „ტაოკლარჯეთი„ II-III ნაწ. 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „ჩემი ქვეყანა„ 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 ჩვენი ფონდი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „საქართველოს ისტორია„ 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 კარაბადინი

მაესტრო 7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ|ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 20.05 ახალი ამბები 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


23 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6567 |
| ევრო | 2,1676 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5420 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2660 |

## ამინდის პროგნოზი 23 აპრილისთვის




## ჩისკო 3 მატჩით და 500 ლარით დასაჯეს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომლის მთავარი თემა ბოლო ტურში ზუგდიდში მომხდარი ფაქტი იყო.

შეგახსენებთ რომ, ზუგდიდი-დინამოს მატჩის მსვლელობისას ესპანელმა ფეხბურთელმა ჩისკომ მასპინძელთა მცველს ჯერ შეაფურთხა, შემდეგ კი ხელი დაარტყა. მატჩის მთავარმა არბიტრმა ამ დანაშაულს წაუყრუა და ესპანელი ფეხბურთელი მხოლოდ სიტყვიერად გააფრთხილა. არადა, ჩისკო წითელ ბარათს იმსახურებდა.

სამაგიეროდ, ჩისკო არ დაინდო სადისციპლინო კომიტეტმა და ესპანელ ფეხბურთელს 3-მატჩიან დისკვალიფიკაციასთან ერთად 500-ლარიანი ჯარიმაც გამოუწერა.

ჩისკოს ეს საქციელი, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს ჩემპიონობისთვის მებრძოლ „დინამოს". საქმე ის არის, რომ ჩისკოს საქართველოს თასზე, დღეს, რუსთავის „მეტალურგთან" მატჩის გარდა, ესპანელ ფეხბურთელს ორი უმნიშვნელოვანესი თამაშის გამოტოვება მოუწევს – 27 აპრილს უშუალო კონკურენტ გორის „დილასთან" და 4 მაისს მესამე ადგილოსან ქუთაისის „ტორპედოსთან".

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 23 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

**ვერძი** – საყიდლებზე წასვლა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **სასწორი** – ფული კი გაქვთ, მაგრამ მთლიანად ნუ დახარჯავთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის. **მშვილდოსანი** – ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **თხის რქა** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან ახალ ამბავსაც გაიგებთ. **მერწყული** – მოერიდეთ რთულ სიტუაციას, ეს დღე ახლობლებს დაუთმეთ. **თევზები** – წამოწყება წარმატებით დასრულდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო პრეპარატი; 2. ტბა უნგრეთში; 3. საცხენოსნო დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 4. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელა; 12. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 18. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. პატარა ქვევრი.

**თარაზულად:** 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. ფრანგი მწერალი; 10. ჰუსართა მუნდირი; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. ტბა სამხრეთ საქართველოში; 19. ნავსადგური, კურორტი, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 22. იაპონური რესტორანი; 23. მსხვილი საჯარისო შენაერთი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## 29 აპრილიდან „ახალ თაობასთან" ერთად ახალი სერია

### ქართული ფენომენი
### ტომი I
### თეკლა ბატონიშვილი




ახალი სერიის, „ქართული ფენომენის" პირველი ისტორიული პერსონაჟი თეკლა ბატონიშვილია – უმცროსი და უსაყვარლესი ასული ერეკლე მეორისა. ქალი, რომლის ოჯახის დრამამ აირეკლა საქართველოს სამეფოს გაუქმების დროინდელი ყველა კონფლიქტი.

მისდამი მიძღვნილი წიგნი ეკუთვნის ისტორიკოსს, რომელმაც მთელი ცხოვრება XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევას შეალია.

პროფესორ იოსებ უთურაშვილის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოკვლევასთან დაწყვილებულია თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟის – XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამორჩეული მოღვაწისა და მწერლის – ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები, რომლებმაც გაამდიდრა პროფესიონალი ისტორიკოსის მონათხრობი.

## პატრიარქის იუბილეს წიგნი მიეძღვნა

23 აპრილს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართება ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის, საგანმანათლებლო-საგამომცემლო ცენტრ „სპეკალის" მიერ გამოცემული წიგნის „საქართველო – წმინდა მიწა კავკასიაში" წარდგინება.

როგორც ცენტრის წარმომადგენელი ნათია გოგუაძე განმარტავს, წიგნი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ეძღვნება.

ამავე ცენტრში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის



„მოლაპარაკე ქვების" ფარგლებში გამოცემული „საქართველოს პეტროგლიფების დიდი კატალოგის" ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიების წარდგინება დაიგეგმა.

– პეტროგლიფები – ქვაზე ამოკვეთილი სიმბოლური მნიშვნელობის გრაფიკული გამოსახულებები – მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, თუმცა დღემდე საქართველოში მათი არსებობა სამეცნიერო წრეებისთვისაც კი ნაკლებაც იყო ცნობილი. ეს კატალოგი წარმოადგენს სამეცნიერო ჯგუფის 3 წლის მუშაობის შედეგს და მასში თავმოყრილია საქართველოში არსებული პეტროგლიფების ფოტო და გრაფიკული გამოსახულებები. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელია დავით გოგუაძე, – განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა.

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში დეკანოზმა პეტრე კვარაცხელიამ ზურაბ გორგილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ჩაატარა, რომელიც ამავე ცენტრის ორგანიზე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## თბილისის მოდის კვირეული „ქარვასლაში" გაიხსნება

ეკა ირემაშვილი




23 აპრილს თბილისის მოდის კვირეული მერვედ გაიხსნება და მასზე წარმოდგენილ კოლექციებს უცხოელი სტუმრები შეაფასებენ. პირველი ჩვენება „ქარვასლაში" ჩატარდება და წარმოდგენილი იქნება ამერიკელი დიზაინერის მარკ ბაუერის გამოფენა, შემდეგ კი გაიმართება ოთხი დიზაინერის ჩვენება.

– „აჭარაბეთი" წარმოგიდგენთ რიგით მე-8 თბილისის მოდის კვირეულს, რომელიც კომპანია ჯეოფეშენის ორგანიზებით 23-26 აპრილს, მეიდან ჯგუფის სალონისძიებო სივრცე თბილისის მუზეუმ ქარვასლაში გაიმართება. მოდის კვირეულის მთავარი ლოკაცია შეფუთული იქნება გენერალური სპონსორის ყავა „კარტ ნუარის" კრეატივით და მასში განთავსებული იქნება როგორც ჩვენებების პოდიუმი, ასევე დიზაინერების კოლექციების შოუ რუმი და აქსესუარების ქართველი დიზაინერების ახალი ნამუშევრების გამოფენა. თბილისის 4-დღიან მოდის კვირეულს ბევრი უცხოელი სტუმარი ეყოლება, რომელთაც სასტუმრო „ჰოლიდეი ინ თბილისი" უმასპინძლებს. მათ შორის, ფრანგული სააგენტო „პარიზ პლენეტ ფეშენის" დამფუძნებელი ფაროუკ ჩექოუფი, რომელიც თბილისის მოდის კვირეულის პარტნიორი და წარმომადგენელი გახდა ევროპაში, მოსკოვიდან „ბიურო 24/7" რედაქტორი, მილანელი ფეშენ აიქონ – ჯიანი ფონტანა, იტალიელი ფოტო ფეშენ ბლოგერი ჯანლუკა სენესე, აზერბაიჯანიდან ჟურნალი „ელ'ოფისიელ" მთავარი რედაქტორი. ასევე, ყაზახეთის მოდის კვირეულის ორგანიზატორები, ბაერები და სფეროს წარმომადგენლები აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და რუსეთიდან, – განაცხადა თბილისის მოდის კვირეულის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ.

შემოდგომა-ზამთრის სეზონის კოლექციებს თბილისის მოდის კვირეულზე 20-მდე დიზაინერი წარადგენს, მათ შორის, საზღვარგარეთ მოღვაწე დიზაინერები რია ქებურია და გიორგი შაღაშვილი, ეკა ბალანჩივაძე, ქეთი ჩხიკვაძე, აკა ნანიტაშვილი, ატელიე 10ა, ატელიე კიკალა, ატელიე მატერია, ტატუნა ნიკოლაიშვილი, დათუნა სულიკაშვილი, თამუნა ინგოროყვა და ავთანდილ ცქვიტინიძე. დიზაინერები სიმონ მაჩაბელი (დალოოდი) და თამარა კოპალიანი (პეპელა) პერფორმანსებით წარდგებიან მაყურებლის წინაშე. ასევე, თბილისის სამხატვრო აკადემიასთან თანამშრომლობით გაიმართება დამწყებ დიზაინერთა კონკურსი „ნიუქომერს დეი", რომლის გამარჯვებულებიც სხვადასხვა პრიზებით დაჯილდოვდებიან.

– თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში გაიმართება ორი უცხოელი დიზაინერის ჩვენება – აინურ ტურისბეკი (ყაზახეთი) და კსენია შნაიდერი (უკრაინა). რაც შეეხება ამერიკელ მარკ ბაუერს, მისი წვეულებით გაიხსნება თბილისის მოდის კვირეული 23 აპრილს თბილისის ისტორიის მუზეუმში. მისი ბოლო კოლექციიდან რამდენიმე კოსტიუმს ქართველი მაყურებელი გამოფენის სახით იხილავს. მარკ ბაუერის კლიენტები არიან მომღერალი ბიონსე, ჯეიმი ალექსანერი, სერიალ გმირების ახალგაზრდა ვარსკვლავი ჰეიდენ პანეტიერრე და მსოფლიო ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი, რომელსაც 2004 წლის ოსკარის ცერემონიაზე ეცვა მისი თეთრი კაბა. როგორც ყოველთვის, წელსაც კასტინგის შედეგად შერჩეული სხვადასხვა სააგენტოს 26 მოდელისგან შემდგარი სამი ჯგუფი მოემსახურება თბილისის მოდის კვირეულის ჩვენებებს და პერფომანსებს. გოგონების მაკიაჟსა და თმის ვარცხნილობაზე იზრუნებს სილამაზის სალონების ქსელი „ნატალი", რომელიც დამსწრე საზოგადოებას რამდენიმე სიურპრიზსაც უმზადებს კვირეულის ფარგლებში. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში რამდენიმე მასტერკლასი და მრგვალი მაგიდა გაიმართება, რომლის დროსაც პროფესიონალი და დამწყები დიზაინერები შეძლებენ უცხოელი სტუმრებისაგან მიიღონ მეტი ცოდნა და გამოცდილება თანამედროვე მოდის სტანდარტებისა და ტენდენციების შესახებ, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში შეუწყობს ხელს. ასევე დაგეგმილია მასტერკლასები ფოტო და მოდის ჟურნალისტებისათვის, რაც ასევე ახალი გამოცდილება და ექსპერიმენტი იქნება ქართველი ახალბედა თუ პროფესიონალებისათვის. მასტერკლასებსა და მრგვალ მაგიდებს სასტუმრო „ჰოლიდეი ინ თბილისი

გაგრძელება მე-11 გვერდზე